ეწვიეთ ვებ-გვერდს და იკითხეთ ახალი ამბები

8 თებერვალი, 2016 N11

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

სინათლე გვირაბის ბოლოს: საერთაშორისო ექსპერტები ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობენ

გვ. 4

ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და სამხედრო წვლილი ნატოს მისიებში, რომელიც პროცენტულად ბევრად აღემატება ქვეყნის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ დემოგრაფიულ სიდიდეს. მათი თქმით, ნატო-ს სჭირდება, რომ საქართველო იყოს უკეთ მომზადებული და უფრო მოძლიერებული ასპირანტი ქვეყანა, რათა შეძლოს სრულფასოვანი წევრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწევრიანება საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, არსებობს სინათლე გვირაბის ბოლოს.

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების სტრატეგია რუსეთთან მიმართებით

გვ. 5

რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საგარეო პოლიტიკურ ხედვებს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელნი სამხედრო ჩარევას საბოლოო გამოსავლად მიიჩნევენ მშვიდობიანი მეთოდების შემდეგ. რესპუბლიკელებს ჩრდილოეთ კორეის მსგავს სახელმწიფო აქტორებთან ან რადიკალურ ორგანიზაციასთან მო-ლაპარაკების შესაძლებლობის არ სწამთ, თვლიან, რომ აშშ უფრო ხისტი უნდა იყოს მათთან ურთიერთობისას, რათა არ შეილახოს ქვეყნის, როგორც სუპერსახელმწიფოს, სტატუსი. გამოკითხვების უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ დონალდ ტრამპს, ტედ კრუზსა და მარკო რუბიოს აქვთ ყველაზე დიდი შანსი, გახდნენ რესპუბლიკელთა კანდიდატი, ხოლო ჰილარი კლინტონისა და ბერნი სანდერსის ნომინირება დემოკრატთა ბანაკიდან თითქმის თანაბრად სავარაუდოა.

უკრაინის კრიზისი - ქვეყანაში კვლავ არსებობს "ღია ომის" საშიშროება გვ. 7

დიასპორის მინისტრი ემიგრანტების დასახმარებლად დამატებით სახსრებს ითხოვს გვ. 14

რა კავშირი აქვს რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიას ღორის გრიპთან და უნდა ველოდოთ თუ არა ეპიდემიის გამწვავებას? EXCLUSIVE გვ. 15

"მანდარინების" მორიგი წარმატება და მიშა მესხის სამსახიობო კარიერის პიკი EXCLUSIVE გვ. 17

ლიტველმა სტუდენტებმა "ჩვეულებრივი გმირების" გამოფენა მოაწყვეს EXCLUSIVE გვ. 18

შპს «აი-თი-ჯი» - მეტეხის ქ. 16, 0103, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 599 555 634; საიტი: WWW.ITG.GE

მასშტაბური პროექტი "ახალი ტფილისი" დაიწყო

მასშტაბური პროექტი „ახალი ტფილისი“, რომელიც თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას გულისხმობს, დღეს აღმაშენებლის გამზირის აღდგენითი სამუშაოებით დაიწყო.

სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რაც ახალი მიდგომით განხორციელდება, პრაქტიკულად ყველა შესაბამისი დარგის 200-მდე სპეციალისტი ჩაერთვება – არქიტექტორები, ისტორიკოსები, ურბანისტები, ინჟინრები, ხელოვნებათმცოდნეები, რესტავრატორები, დეველოპერები.

“პროექტი გამოირჩევა ახალი მიდგომებით – ჩვენ არა მხოლოდ ფასადებს აღვადგენთ, არამედ შევდივართ ეზოებში, მთლიანად განვაახლებთ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის უძრავი ქონების ფასებს თბილისში. თბილისი ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ იყო სხვადასხვა ერის, სხვადასხვა კულტურის ხალხის ერთად ცხოვრების ადგილი. ჩვენ ეს სიმდიდრე უნდა შევინარჩუნოთ და მომავალში კიდევ უფრო განვავითაროთ. მნიშვნელოვანია, პროექტი დასრულდეს იმ ვადებში, რომელზეც არის საუბარი – 2016 წლის ბოლომდე”, – განაცხადა პრემიერმა.

პროექტით შეიქმნება ახალი ტურისტული მარშუტები, რეკრეაციული სივრცეები, ბაღები, პარკები, რაც აუცილებელია თანამოქალაქეების დასვენებისთვის და გამოიწვევს რაიონში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ, ტერიტორია ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაც.

ქართული კომპიუტერული თამაში საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა

“GameLab Iliauni”-ში შექმნილი ქართული ინოვაციური თამაში – “Warlock VR”, ონლაინ თამაშების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კონკურსის “Leap Motion 3D Jam 2.0"-ის გამარჯვებულთა შორისაა.

ონლაინ კონკურსზე მსოფლიოს მასშტაბით წარდგენილი 200 თამაშიდან 11 საუკეთესო გამოვლინდა, ქართული თამაში მეორე ადგილზეა, პირველ ადგილზე კი ტაილანდი გავიდა.

“Warlock VR” პირველი ქართული VR ჟანრის თამაშია, რომელიც ჯერ დასრულებული არაა და მისი შემქმნელი ცნობილი დეველოპერთა გუნდი – “Storm-Bringer Studio”-ა. “GAMELAB ILIAUNI” ჯერჯერობით საქართველოში ერთადერთი კომპიუტერული და მობილური თამაშების ლაბორატორიაა, რომელიც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სსიპ ,,ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს'' ბაზაზე შეიქმნა.

სან დიეგოს უნივერსიტეტი ქართველი სტუდენტებისთვის ახალ საბაკალავრო პროგრამას იწყებს

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა (SDSU) საქართველოში ადრეული რეგისტრაციის პროექტის პრეზენტაცია გამართა. სტუდენტები, რომლებიც მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან 15 მარტამდე საბუთებს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიტანენ და წარმატებით გაივლიან შერჩევის პროცესს, პირობითად ჩაირიცხებიან SDSU-ში და უნივერსიტეტისაგან ავტომატურად მიიღებენ ნაწილობრივ დაფინანსებას. პრეზენტაციაზე კომპიუტერულ მეცნიერებებში ახალი საბაკალავრო პროგრამის დაწყების შესახებაც გახდა ცნობილი. 2016 სასწავლო წელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს შესთავაზებს კომპიუტერულ მეცნიერებებში, კომპიუტერულ ინჟინერიაში, ელექტრულ ინჟინერიასა და ქიმია/ბიოქიმიაში და მათ საშუალებას მისცემს სწავლა SDSU-ს კალიფორნიის კამპუსში განაგრძონ. პროგრამის პარტნიორები საქართველოში თსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არიან.

პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში სოციალურ პრობლემებზე და სასამართლო რეფორმის საჭიროებებზე მიუთითებს

თამარ ღოლთქიფანიძე

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 3 თებერვალს ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტის წინაშე წარსდგა. ქვეყნის მეთაური რიგით მესამე 55-წუთიანი გამოსვლის დროს საქართველოსთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა სფეროს შეეხო. საკანონმდებლო ორგანოში მარგველაშვილის გამოსვლას პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები ესწრებოდნენ.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე პრეზიდენტმა და დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 11 წლის წინ 3 თებერვალს დაღუპულ პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მთავარი არქიტექტორის ზურაბ ჟვანიას ხსოვნას.

ანგარიშის წარდგენისას მარგველაშვილმა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა და განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. 2015 წლის შეჯამებისას პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო საკითხები მიმოიხილა, ასევე, ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობასა და ევროინტეგრაციაზე. საუბარი შეეხო ეკონომიკის განვითარებას, უსაფრთხოებას, სასამართლო სისტემის რეფორმებსა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებებს.

ქვეყნის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქვეყნისთვის შარშანდელი წელი არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც საკმაოდ რთული იყო. მისი თქმით, საქართველოში კვლავ მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა. მძიმეა უმუშევრობის ფონი. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი კი მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს. ქვეყანაში ასეთი ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზად მსოფლიოში მიმდინარე პროცესები დასახელდა - დოლარის გამყარება, ნავთობის ფასის ისტორიულ მინიმუმამდე დაცემა, ეკონომიკური ზრდის შენელება, რუსეთ-უკრაინის ომი და თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობა. მარგველაშვილმა პოზიტიურად შეაფასა მთავრობის მუშაობა და დაწყებული რეფორმები, ხაზი გაუსვა „აბრეშუმის გზის“ პროექტის მნიშვნელობას და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებზეც ისაუბრა. ქვეყნის პირველმა პირმა მთავრობას რეკომენდაციითაც მიმართა და საქართველოს კონკურენტული უპირატესობის - სატრანზიტო ფუნქციის უკეთესი ათვისებისკენ მოუწოდა.

„ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების უმთავრესი რესურსი საქართველოს მოქალაქეები არიან. დასავლური სახელმწიფოს ასაშენებლად, უპირველს ამოცანად რჩება დემოკრატიის გაძლიერება და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა“, - განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა სასამართლოს საკითხზე და აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, მიაჩნია, რომ სასამართლოს რეფორმირებას მეტი სტიმული სჭირდება, განსაკუთრებით მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმების სფეროში. პრეზიდენტმა დეპუტატებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე ინიციატივით მიმართა.

„სასამართლო სისტემის გაძლიერება უნდა გაგრძელდეს. უნდა დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით გამწესებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი და შეიცვალოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაკომპლექტების მექანიზმი - სამი წევრით წარმოდგენილი უნდა იქნას სამი ინსტანცია (ანუ სამ-სამი წევრი თითოეული ინსტანციიდან)“, - თქვა გიორგი მარგველაშვილმა.

ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვან როლსა და ეფექტურ ფუნცქციონირებაზეც ისაუბრა. სამივე ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრის ფორმატში განიხილება ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები და მათი პრევენციის შესაძლებლობები. ასევე მან ხაზი გაუსვა, რომ გასულ წელს რეგიონის მასშტაბით რისკები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ, საქართველომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით. სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის იმპელემენტაციაზე, ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნასა და „დიდგორი 2015“-ის მასშტაბურ სწავლებაზე. მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტად ევროატლანტიკური ინტეგრაცია განიხილება.

პრეზიდენტმა არსებულ ცვლილებად საერთაშორისო გარემოში პროაქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და მსოფლიოს დღის წესრიგში საქართველოს თემატიკის აქტიურად წარმოჩენის აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ კვლავ აშშ რჩება, რომელთანაც უკვე დაწყებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები, თუმცა, ქვეყნის მთავარ პარტნიორთან თანამშრომლობის გაღრმავება უფრო ინტენსიურად უნდა წარიმართოს.

მარგველაშვილის თქმით, აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება გამახვილებული იქნა საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე. მანვე აქცენტი გააკეთა ევროკავშირთან ურთიერთობების ახალ საფეხურზე გადასვლის აუცილებლობასა და რეგიონალურ მოთამაშედ ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე.

საქართველო-რუსეთის ურთიერთო-ბების დარეგულირებზე საუბრისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობები ევროპული პოლიტიკის ნაწილია და რუსული რბილი ძალის განეიტრალებაც ევროპელი პარტნიორების დახმარებით უნდა მოხდეს.

ყოველწლიური მოხსენების შემდეგ, თავიანთი პოზიციის გამოხატვის საშუალება საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებსაც მიეცათ. მარგველაშვილის წლევანდელი ანგარიში დეპუტატების მიერ უმეტესწილად პოზიტიურად შეფასდა და წინა წლებისგან განსხვავებით, მის გამოსვლას ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც დაესწრო.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თვჯდომარე გიორგი ვოლსკისთვის ქვეყნის მეთაურის ანგარიში საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

პრეზიდენტის განცხადების საპასუხოდ, სადაც მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში კანონები უნდა ბატონობდნენ და არა ინდივიდები, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-რეგიონების“ თავჯდომარე ტარიელ ლონდარიძემ პრეზიდენტი ერთი ინდივიდის, ბიძინა ივანიშვილის მიერ არჩეულად გამოაცხადა.

მიუხედავად მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, პარლამენტი და პრეზიდენტი თანხმდებიან, რომ რეგიონში საქართველოს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ქვეყნის პირველმა პირმა თავისი გამოსვლის დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად დაგეგმილი პროექტები რეალობად იქცევა.

სინათლე გვიჩანს ბოლოს: საერთაშორისო ექსპერტები ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობენ

4-5 თებერვალს საქართველოს სტუმრობდნენ ექსპერტები ნატო-ს მოკავშირე ქვეყნებიდან. ვიზიტის ფარგლებში მათ მაღალი დონის შეხვედრები გამართეს სახელმწიფო თანამდებობის პირებთან და ქართველ ახალგაზრდა ლიდერებთან. ისინი მონაწილეობას იღებდნენ სემინარში „წინსვლა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“.

სემინარის ფარგლებში განხილული იყო საქართველოს 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) პროექტი, რომელიც კონფიდენციალური დოკუმენტია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ექსპერტები ნატო-ს შტაბ-ბინიდან და წევრი ქვეყნებიდან; ასევე, საქართველოში აკრედიტირებული ნატო-ს წევრი ქვეყნების საელჩოებისა და წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

წლიური ეროვნული პროგრამა არის საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებას.

სემინარზე ნატო-ს ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2016 წლის წლიურ ეროვნულ პროგრამას საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია დაამტკიცებს და შემდგომ ქართული მხარე აღნიშნულ დოკუმენტს ალიანსს წარუდგენს.

5 თებერვალს, ექსპერტები ნატო-ს სამეკავშირეო ოფისში ქართველ ახალგაზრდა ლიდერებს შეხვდნენ, სადაც გაიმართა სიღრმისეული დისკუსია ალიანსის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებზე და რუსეთთან ურთიერთობაზე.

თომას სინდელარი, უმცროსი დიპლომატი ნატო-ში ჩეხეთის რესპუბლიკის მუდმივმოქმედ დელეგაციაში აღნიშნავს, რომ საქართველო ნატოს უნიკალური პარტნიორია. „ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველო არის ყველაზე ასპირანტი, ყველაზე კონტრიბუტორი, ყველაზე მიმღები, და ყველაზე აქტიური თანამოსაუბრე“ - განაცხადა სინდელარმა. მისი თქმით, არ არსებობს სხვა არაწევრი ქვეყანა, რომელიც იღებს ამდენ ყურადღებას, რესურსებს და მხარდაჭერას ნატოსგან.

აუდიტორიამ კითხვა დასვა ვარშავის სამიტთან მიმართებაში, თუ რას უნდა ელოდოს საქართველო ნატოს მოახლოებული სამიტიდან. ექსპერტებმა კონკრეტული პროგნოზებისაგან თავი შეიკავეს, თუმცა გამოთქვეს იმედი, რომ საქართველოს მისწრაფებები იქნება სათანადოდ დანახული ნატო-ს მიერ.

ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და სამხედრო წვლილი ნატოს მისიებში, რომელიც პროცენტულად ბევრად აღემატება ქვეყნის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ დემოგრაფიულ სიდიდეს. მათი თქმით, ნატო-ს სჭირდება, რომ საქართველო იყოს უკეთ მომზადებული და უფრო მოძლიერებული ასპირანტი ქვეყანა, რათა შეძლოს სრულფასოვანი წევრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწვერიანება საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, არსებობს სინათლე გვირაბის ბოლოს. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, ალიანსის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას. გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ დადასტურდა ნატო-ს მომდევნო სამიტებზე 2009, 2010, 2012 და 2014 წლებში. უელსის სამიტზე 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს გადმოეცა შესაბამისი პაკეტი, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებებს საქართველოს თავდაცვის უნარის ასამაღლებლად და მისი წევრობისთვის მოსამზადებლად.

რატი ბახტაძე, იატას საქართველოს ოფისის აღმასრულებელი დირექტორი (ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ალიანსი) ირწმუნება, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია სათანადო კომუნიკაციას ნატო-ს შესახებ, მათ არ ესმით, რომ ნატო-ში გაწევრიანების პროცესი ხანგრძლივია, რადგან ის ემყარება 28 წევრი ქვეყნის გადაწყვეტილებას. აღნიშნული მოსაზრება სხვა დელეგატებმაც გაიზიარეს და აღნიშნეს, რომ კომუნიკაციის გაძლიერება განსაკუთრებით საჭიროა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რადგან მათი მხრიდან ნატო-ს მხარდაჭერა მცირდება.

საინტერესო დისკუსია გაიმართა ნატო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ. ექსპერტებმა ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რაც რუსეთის მხრიდან აქვს ალიანსს, განსაკუთრებით საქართველოში 2008 წლის და უკრაინაში 2014 წლის სამხედრო ინტერვენციების ფონზე. გარდა ამისა, მათ მიმოიხილეს არასტაბილურობის პრობლემა სამხრეთ სამეზობლოში, სადაც რუსეთი არაპროგნოზირებადი და რთული პარტნიორია. ცალკე აღინიშნა რუსეთის სამხედრო წვრთნები შავი ზღვის აკვატორიაში და ბალტიისპირეთის რეგიონში.

აუდიტორიის მორიგი შეკითხვა ეხებოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს საქართველოსა და უკრაინაში. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ნატო-ში ამ საკითხებზე დისკუსია არ მიმდინარეობს. „ეს არ ნიშნავს, რომ ნატო-ს არ აინტერესებს აღნიშნული საკითხები, მაგრამ ჩვენ არ განვიხილავთ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტურ ზონებს. ნატო არ იწყებს კონფლიქტებს, არამედ მუშაობს მათ თავიდან აცილებაზე“, - განაცხადა სინდელარმა. ამ საკითხთან დაკავშირებით, დარიუს მერეკისმა, ლიტვის დელეგაციის პოლიტიკურმა მრჩეველმა ნატო-ში, იმედი გამოთქვა, რომ ერთ დღეს დადგება მომენტი, როდესაც საქართველო შეძლებს თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დიპლომატიური გზით. ჰანს ქრისტიან კიოლსეთმა, პირველი მდივანი ნორვეგიის მუდმივმოქმედ დელეგაციასთან ნატოში, დასძინა, რომ ალიანსმა განიცადა შიდა ადაპტაცია რუსეთის საგარეო პოლიტიკის საპასუხოდ და საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის გადახედვა, სანამ ის კვლავ პროგნოზირებადი არ გახდება. კითხვაზე, რა მოხდება, თუ თავს დაესხმებიან ნატოს პარტნიორს, როგორიც საქართველოა, სინდელარმა უპასუხა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნატოს არ გააჩნია პირდაპირი მოვალეობა დაიცვას პარტნიორი სახელმწიფო, მას აქვს ინტერესები რომ ეს გააკეთოს, ამიტომ ნატო არ არის გულგრილი რუსეთისგან მომდინარე ჰიპოთეტური საფრთხეების მიმართაც კი.

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების სტრატეგია რუსეთთან მიმართებით

გიორგი ჩაფიძე (ბელგრადი)

აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე აქტუალური ხდება კანდიდატთა საგარეო პოლიტიკური პერსპექტივები. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანდიდატთა სტრატეგია რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით. განმსაზღვრელი ფაქტორია თეთრი სახლის ხელმძღვანელი კრემლთან ურთიერთობისას „რბილ“ მიდგომას აირჩევს თუ რუსული დათვის შეკავების პოლიტიკას.

ობამას ადმინისტრაციას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან პუტინს ნება დართო, პოსტსაბჭოთა სივრცეზე გაეზარდა გავლენა და მიუთითებენ ყირიმის ანექსიის შემთხვევაზე. რამდენიმე რესპუბლიკელი აცხადებს, რომ ამერიკა არ იცავს მოკავშირეებს და იზოლირებული ჰყავს ისინი, ვინაიდან არ ასრულებს დანაპირებს. ყველაზე საკამათო თემაა ობამას მარცხი, დაეცვა უკრაინის სუვერენიტეტი რამდენადაც აშშ, ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იყო. რესპუბლიკელები აპელირებენ, რომ დემოკრატების არასწორმა საგარეო პოლიტიკამ რუსეთს საშუალება მიეცა სირიის კონფლიქტში ინიციატივა აეღო და სამხედრო ჩარევა განეხორციელებინა. რამდენიმე რესპუბლიკელი კანდიდატის განცხადებით, რუს მაღალჩინოსნებსა და ბიზნესზე ფინანსური სანქციების დაწესება და ორმხრივი თანამშრომლობის შეწყვეტა გარკვეულ სფეროებში არ არის ერთადერთი გზა, როგორც ამერიკა უნდა უმკლავდებოდეს რუსულ აგრესიას.

რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საგარეო პოლიტიკურ ხედვებს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელნი სამხედრო ჩარევას საბოლოო გამოსავლად მიიჩნევენ მშვიდობიანი მეთოდების შემდეგ. რესპუბლიკელებს ჩრდილოეთ კორეის მსგავს სახელმწიფო აქტორებთან ან რადიკალურ ორგანიზაციასთან მოლაპარაკების შე-საძლებლობის არ სწამთ, თვლიან, რომ აშშ უფრო ხისტი უნდა იყოს მათთან ურთიერთობისას, რათა არ შეილახოს ქვეყნის, როგორც სუპერსახელმწიფოს, სტატუსი.

გამოკითხვების უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ დონალდ ტრამპს, ტედ კრუზსა და მარკო რუბიოს აქვთ ყველაზე დიდი შანსი, გახდნენ რესპუბლიკელთა კანდიდატი, ხოლო ჰილარი კლინტონისა და ბერნი სანდერსის ნომინირება დემოკრატთა ბანაკიდან თითქმის თანაბრად სავარაუდოა.

ტედ კრუზი რუსეთთან მიმართებით ხისტი მიდგომით გამოირჩევა. ის თვლის, რომ აშშ-მ უნდა მიმართოს კრემლის შეკავების პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით უკრაინაში, რომელსაც თავდაცვით იარაღს უნდა აწვდიდეს. აღმოსავლეთევროპული ნატოს წევრი ქვეყნები არ უნდა დარჩნენ დაუცველი რუსეთისაგან მომავალი საფრთხის წინაშე და იგი ემხრობა ანტიბალისტიკური რაკეტების ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსებას. ტეხასის სენატორი აგრეთვე გვთავაზობს უკრაინის თხევადი ბუნებრივი აირით მომარაგებას, რათა შემცირდეს მისი რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. კრუზის განცხადებით, რამდენადაც პუტინმა გაზარდა სამხედრო აქტივობა სირიაში, კრემლს კონფლიქტში საკუთარი პოზიციის დაცვის მეტი რესურსი აქვს. ობამას სიმბოლური სამხედრო ჩარევა უშედეგო იყო. ისლამური სახელმწიფოს სრულად გასანადგურებლად აშშ-მ უნდა ითანამშრომლოს მეგობარ სახელმწიფოებთან (ისრაელი, იორდანია, ეგვიპტე) და დრო არ დაკარგოს „ახალი მოკავშირეების“ ძებნაში. კრუზის თქმით, ეს შეაკავებს პუტინს არ შეიქმნას სასურველი პოლიტიკური კლიმატი რეგიონში, რაც აშშ-ის ინტერესებთან წინააღმდეგობაში იქნება. სენატორი თვლის, რომ ამერიკამ ანტი-ბალისტიკური მოწყობილობები უნდა დაამონტაჟოს არა მხოლოდ ზემოთხსენებულ ევროპულ ქვეყნებში, არამედ სხვა არეალებშიც. აგრეთვე კრუზი აცხადებს, რომ მისი მმართველობის ქვეშ „აშშ დაიბრუნებს თავისუფალი სამყაროს ლიდერის ტრადიციულ როლს“ და პუტინი იძულებული იქნება, შეეგუოს ამ რეალობას. მთლიანობაში, კრუზის გეგმაა რუსეთთან ერთ გუნდში ყოფნით დაამარცხოს ისლამური სახელმწიფო და პარალელურად შეაკავოს პუტინი უკრაინაში, რამდენადაც „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ცნობილია მრავალი მიზნის ერთდროულად განხორციელებაში“.

ტრამპი თვლის, რომ აშშ და რუსეთი უნდა გაერთიანდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ დასამარცხებლად, ვინაიდან ეს ორივე ქვეყნის ინტერესშია. მისი განცხადებით, თუკი აშშ აირჩევს რუსეთთან თანამშრომლობას ისლამურ სახელმწიფოსთან საბრძოლველად საერთო კოალიციის შექმნის გზით, ეს ამერიკის ნაკლებ ფინანსურ და სამხედრო ხარჯებს ნიშნავს. ბიზნესმენს მიაჩნია, რომ „მშვენიერი იქნება“ თუკი სხვა ქვეყნებიც შეიტანენ წვლილს ახლო აღმოსავლეთში მოთარეშე რადიკალურ - ისლამისტური ორგანიზაციების გასანადგურებლად. ის ეწინააღმდეგება ობამას უკრაინულ პოლიტიკას „ობამა უკრაინაში არ აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს“. უფრო მეტიც, ტრამპი თვლის, რომ რუსული სამხედრო დარტყმები სირიის ტერიტორიაზე დადებითად უნდა შევაფასოთ, ვინაიდან ემთხვევა აშშ-ს ინტერესებს და ამცირებს ამერიკულ სამხედრო დანახარჯებს.

მარკო რუბიო უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდის მომხრეა და კრემლს „მატყუარების მთავრობას“ უწოდებს. მისი თქმით, აშშ-ს საკუთარი უმოქმედობა რუსულ აგრესიასთან მიმართებით ძვირად დაუჯდება. მთავრობამ ევროკავშირის წევრ პარტნიორებთან ერთად რუს ბიუროკრატებსა და ორგანიზაციებს (განსაკუთრებით გაზპრომს) სანქციები უნდა გაუმკაცროს, რათა მოახდინოს მათი იზოლირება. ფლორიდის სენატორი აცხადებს, რომ აშშ მზად უნდა იყოს ევროპის ქვეყნებში გაზის ექსპორტირებისათვის, რათა შეამციროს მათი რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუბიო საქართველოსა და მოლდოვასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაზრდის მომხრეა. რაც შეეხება უკრაინას, სენატორი აპირებს, დაეხმაროს კიევს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებზე, რომლებიც რუსეთისაგან ზურგგამაგრებულ სეპარატისტებს უჭირავთ, ადმინისტრაციული კონტროლის აღდგენაში. ის თანახმაა მოამარაგოს უკრაინა საბრძოლო იარაღით და ჩაატაროს სამხედრო წვრთნები. რუსეთისაგან დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი უკრაინა, რუბიოს თქმით, აშშ-ს ინტერესებში შედის. მისივე სტრატეგიით, ნატომ ბალტიის ქვეყნების უსაფრთხოებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში უნდა გაზარდოს იარაღის რაოდენობა და სამხედრო კონტინგენტი. ის არ ეთანხმება რუსეთთან კოალიციის შექმნას ისლამური სახელმწიფოს გასანადგურებლად, ვიდრე პუტინი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდამჭერია.

ბერნი სანდერსი ყველაზე სოციალისტი კანდიდატია, ვიდრე ნებისმიერი სხვა რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ბანაკიდან. მისი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის იქით, საკმაოდ თავმდაბალია. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ევროკავშირის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციების მომხრეა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა მოახდინა ყირიმის ანექსირება, სანდერსი უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას არ აპირებს. უფრო მეტიც, თავის დროზე ვერმონტის სენატორი ბალტიის ქვეყნების ნატოში გაწევრიანების მოწინააღმდეგე იყო, ვინაიდან ეს აშშ-ს სამხედროებს ზედმეტ საზრუნავს გაუჩენდა. სანდერი მზადაა ითანამშრომლოს რუსეთთან ისლამური სახელმწიფოს გასანადგურებლად და თვლის, რომ აშშ-მ ამ ბრძოლაში არ უნდა იტვირთოს ლიდერის როლი, იგი ეწინააღმდეგება ამერიკული სახმელეთო ჯარების ჩარევასაც.

აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, ბერნი სანდერსის მსგავსად, კრემლთან ურთიერთობისათვის კონკრეტული სტრატეგია არ გააჩნია. როგორც მისი საიტი იუწყება, ის „ევროპელ მოკავშირეებთან მხარდამხარ იბრძოლებს“ პუტინის შესაკავებლად და ევროპული ქვეყნების რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. კლინტონი თვლის, რომ რუსეთს ორჯერ დაფიქრებას აიძულებს, სანამ კრემლი აგრესიული აქტის განხორციელებას გადაწყვეტდეს. ის აპირებს თანამშრობლობა გააძლიეროს მოკავშირეებთან ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ისრაელთან, რათა მიაღწიოს აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს. ყოფილი სახელმწიფო მდივნის მოსაზრება „ისლამური სახელმწიფოს“ გასანადგურებლად „საზიარო ვალდებულების“ შესახებ სათავეს იღებს მისი უარყოფითი დამოკიდებულებისგან, ჩაერთოს კიდევ ერთ სახმელეთო ომში, შესაბამისად, არ გამოირიცხება რუსეთთან თანამშროლობის შესაძლებლობა.

დემოკრატი პრეზიდენტების რუსეთთან ან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ყოველთვის უფრო ნაკლებად ხისტი იყო ვიდრე რესპუბლიკელების მიდგომა. ობამამ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის „რბილ სტრატეგიას“ მიმართა და აგვისტოს ომიდან მეორე წელს „გადატვირთვის პოლიტიკა“ აირჩია. მისი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის „ნორმალიზებისაკენ“ მიისწრაფვოდა, მიუხედავად კრემლის აგრესიული პოლიტიკისა სამხრეთ კავკასიაში.

რეგიონიდან აშშ-ს ინტერესების „გასვლამ“ საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვები წარმოშვა, ვინაიდან დარჩა საკმარისი ადგილი, რომ რუსეთს აეღო ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატების მიდგომა ყირიმის ანექსიის შემდგომ არსებითად არ გადაზრდილა მოქმედებაზე დაფუძნებულ სტრატეგიაში და მხოლოდ რუს მაღალჩინოსნებსა და ბიზნესებზე დაწესებული სანქციებით შემოიფარგლება. დემოკრატთა რუსეთთან ტრადიციული მიდგომისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ჩარევის გამოყენებაზე მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჯერად რესპუბლიკელი პრეზიდენტი უფრო შეესაბამება საქართველოს ინტერესებს. სულ მცირე რამდენიმე რესპუბლიკელი კანდიდატის საარჩევნო კამპანია მოიცავს მეტი დახმარების (ზოგჯერ სამხედრო სფეროში) აღმოჩენას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის და, შესაძლოა, საქართველოსთვისაც, რასაც ვერ ვხედავთ მათი დემოკრატი კოლეგების განცხადებებში.

Tiflis PALACE

Palace of Hospitalily

Hotel "Tiflis Palace" Offers 7 Categories of Elegantly Designed, Comfortable Rooms from 18m² to 140m² with Picturesque Views of Old Tbilisi.
Everything to Ensure Luxury Comfort and the Best Rest for Our Dear Guests!

Conference & Banquet Services

Tiflis Palace Provides the Perfect Environment for Business Meetings as well as for a Truly Romantic Wedding in a Legendary Place with an Astonishing and Unforgettable Views.
Trust Your Business Event to Our Professionals!

3, Gorgasali Street, 0105, Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2 000 245 www.tiflispalace.ge

CUSHMAN & WAKEFIELD® | VERITAS BROWN

INDEPENDENTLY OWNED & OPERATED MEMBER OF THE CUSHMAN & WAKEFIELD ALLIANCE

რეგიონის რჩეული უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია

კვლევა
ვირტუალური ოფისები
უძრავი ქონების მართვა
უძრავი ქონების შეფასება
საინვესტიციო მომსახურება

ოფისები
60
ქვეყანაში
მსოფლიოს მასშტაბით

43,000
თანამშრომელი

$5
მილიარდი
დოლარის მოგება

$191
მილიარდი
დოლარის ტრანზაქცია

4.3
მილიარდი
კვ.ფუტი ქონება მართვაში

ელ-ფოსტა: info@veritasbrown.com; www.veritasbrown.com
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, X ბლოკი, VI სართული; ტ: +995 322 47 48 49

უკრაინის კრიზისი - ქვეყანაში კვლავ არსებობს "ღია ომის" საშიშროება

ეკა ფხოველიშვილი (პოლონეთი)

უკრაინის პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს განცხადებით, 2015 წელთან შედარებით, უკრაინაში „ღია ომის“ საშიშროება გაზრდილია. ამის შესახებ პრეზიდენტმა გერმანულ გაზეთ „Bild“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

პოროშენკოს თქმით, ქვეყნის ტერიტორიაზე 8 ათასი რუსი სამხედრო იმყოფება, რუსეთი უკრაინის საზღვართან სამხედრო ბაზებს ქმნის და წვრთნებს ატარებს. „რუსეთს არ შეუსრულებია მინსკის შეთანხმებების არც ერთი პუნქტი. რუსეთი სამხედრო ინფრასტრუქტურაში დიდ ინვესტიციებს ახორციელებს, ჩვენ კი ამ დროს არაფერს გვიხსნიან“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

რადგანაც რუსეთის სამხედრო საფრთხე 2016 წელს უფრო მაღალია, ვიდრე 2015 წელს, პორნოშენკოს განცხადებით, გერმანია უკრაინას იარაღს მიაწვდის.

„ამ შესაძლებლობის მიმართ გახსნილები ვართ და მხარს ვუჭერთ მის განხილვას, რადგან იგი ევროპაში არსებულ უსაფრთხოებას ეხება. პრობლემის მოგვარების უმთავრესი გზა დიპლომატიური მოლაპარაკებებია. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი პრობლემების განმუხტვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ“, - აღნიშნა პეტრე პოროშენკომ.

გარდა ამისა, უკაინის პირველი პირი რუსეთს მინსკის შეთანხმებებისა და უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის გაზრდაში ადანაშაულებს. უკრაინის პრზიდენტი მომხრეა, რომ ევროკავშირმა და აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები არ მოხსნან. მისი თქმით, რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროპის დესტაბილიზაციაა.

„ყველაფერი რაც მსოფლიოში ხდება, ასე თუ ისე, რუსეთის აგრესიას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოვალეობაა, რომ შენარჩუნდეს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. სიტუაციას თუნდაც ეკონომიკური კუთხით შევხედოთ, დავინახავთ, რომ რუსული ბაზარი ის აღარაა, რაც რამდენიმე წლის წინ იყო. ევროპა რუსულ ბაზარზე ნაკლებად დამოკიდებული გახდა“, - განაცხადა პეტრე პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტი სირიაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. ის არ ეთანხმება რუსეთზე სანქციების მოხსნას იმ მოტივით, რომ მის გარეშე სირიის კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია. „თუკი დავაკვირდებით, რა ხდება აღმოსავლეთ უკრაინაში, შეუძლებელია, მხარი დავუჭირო რუსეთზე სანქციების მოხსნას იმ დაშვებით, რომ პუტინის გარეშე სირიის კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია“, - განაცხადა მან.

რუსეთს არასოდეს აქვს ძალა, იბრძოლოს რამდენმე ფრონტზე. ის ყოველთვის იბრძვის ერთი მიმართულებით. 2008 წელს საქართველოსთან ომის დროს სწორედ რუსეთის დაუსჯელობამ გადაზარდა მოვლენები უკრაინასთან მასშტაბურ დაპირისპირებაში. ეს მიდგომა დღევანდელ რუსეთს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს და აძლევს შანსს, აირჩოს სასურველი ტაქტიკა.

ამასთან, მნიშვნელოვანია ინტერესები, რომლებიც უსაფრთხოებას უკავშირდება. რუსეთში ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ. იგი საკუთარ საზღვრებთან სხვა, ძლიერი სახელმწიფოს ან სამხედრო ალიანსის გამოჩენას ვერ შეეგუება. ანალოგურად, რუსეთისათვის ევროპის კრიზისები მომგებიანია, რადგან ევროპელებს უფრო ნაკლები დრო და შესაძლებლობა რჩებათ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და, რაც ყველაზე მთავარია, შიდა კრიზისების გამო, აღმოსავლეთ გაფართოებას შეეწინააღმდეგებიან, ეს კი რუსეთისათვის ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანია.

ვლადიმერ პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აქტიური ღონისძიებები გაატარა დასავლურ ალიანსებში უკრაინის შესაძლო გაწევრიანების წინაღმდეგ. აღნიშნულმა ნაბიჯებმა ''ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ განსაკუთრებით ხისტი ხასიათი შეიძინა. რუსეთსა და უკრაინას შორის მომხდარი „გაზის ომები“ ორი ქვეყნის ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა, მათ შორის ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პერიოდშიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი პრო-რუსულ ლიდერად მიიჩნეოდა. თუმცა, იანუკოვიჩის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა რუსეთის სურვილი უარი ეთქვა ნატო-ში გაწევრიანების სურვილზე.

ერთ შეხედვით 2013 წლის შემოდგომამდე უკრაინას ყველაფერი ჰქონდა რუსეთთნ კარგი ურთერთობისათვის: არ მიისწრაფვოდა ნატო-ში ინტეგრაციაზე და ყოველმხრივ თანამშრომლობდა პუტინთან. თუმცა, ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელეკრულების ხელმოწერამდე ცოტა ხნით ადრე, რუსეთის პრეზიდენტმა იანუკოვიჩს მსგავსი ნაბიჯის გადადგმა ფაქტობრივად აუკრძალა. ევროკავშირის უშუალო მეზობელი უკრაინა ჯერ მშვიდობიანმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, რაც მალე, რუსეთის აქტიური ჩარევის შემდეგ, მასშტაბურ დაპირისპირებასა და უკრაინული ტერიტორიების ანექსიაში გადაიზარდა.

უკრაინის პირველი პირის შიში რუსეთის მხრიდან კვლავ მომავალი აგრესის შესახებ სავსებით ლოგიკურია. როგორც ჩანს, სანქციებმა პუტინი გარკვეულწილად შეაშინა, ოღონდ არა იმდენად, რომ ყველა თავის მილიტარისტულ გეგმაზე უარი ეთქვა. იგი ყველაფერს აკეთებს, რომ უკრაინას ევროპასთან ინტეგრირების ყველანაირი საშუალება მოუსპოს.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ბოლო ოცი წლის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საერთაშორისო კრიზისად მიიჩნევა, რომლის გაგრძელების ალბათობა, უკრაინის პრეზიდენტის თქმით, კვლავ არსებობს. კონფლიქტის წარმართვაში დიდი როლი ითამაშა რუსეთის მიმართ დასავლეთის არასწორმა, ტოლერანტულმა პოლიტიკამაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთი მიზნად ისახავდა რუსეთის მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სრუქტურებში ინტეგრაციას და ხშირად ხუჭავდა თვალს პუტინის რეჟიმის ნაკლოვანებებზე.

2008 წელს ევროპამ საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესია დაგმო, თუმცა ბოლომდე თანმიმდევრული არ აღმოჩნდა და რუსეთს საქართველოზე თავდასხმა არც ისე ძვირი დაუჯდა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ კრემლმა ევროკავშირის უშუალო მეზობელ უკრაინაზე შეტევა კვლავ გაბედა. დასავლეთის არასაკმარისი რეაქცია უარყოფითი შედეგების მომტანია არა მხოლოდ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისათვის, არამედ სამომავლოდ ნატო-სა და ევროკავშირისათვისაც.

შესაბამისად, სანქციების არსებობის პირობებში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის მილიტარისტული მიზნების გადასახარისხებლად.

რას წარმოადგენს ტერორისტული დაჯგუფება ბოკო ჰარამი და რა სურს მას

გურამ ფცქიალაძე (ბულგარეთი)

ნიგერიულმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „ბოკო ჰარამმა“ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მორიგი თავდასხმა განახორციელა. დაჯგუფების მსხვერპლი ნიგერიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა სოფელი დალორი გახდა. ბოკო ჰარამმა 86 ადამიანის, მათ შორის ბავშვების, სიცოცხლე შეიწირა.

შემთხვევა „ბოკო ჰარამის“ წარმოშობის ადგილ მაიდუგურიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მოხდა, რომელთან ახლოსაც 25 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი ორ დიდ ბანაკში ცხოვრობს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, სროლისა და აფეთქების ხმა დაახლოებით 4 საათის განმავლობაში ისმოდა. თავდასხმა რამდენიმე ბომბის ჩამოგდების მეშვეობით განხორციელდა.

იმის გამო, რომ ტერორისტები უკეთ იყვნენ აღჭურვილნი, შემთხვევის ადგილზე მისულმა ნიგერიულმა ქვედანაყოფმა მათ წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. კვირა საღამოს მონაცემებით კი 86 გარდაცვლილი და 62 დაშავებული იპოვეს.

და მაინც, რას წარმოადგენს „ბოკო ჰარამი“ და რისი მიღწევა სურს მას? „ბოკო ჰარამის“ მიერ განხორციელებული თავდასხმა პირველი არაა. ის რამდენიმე წელია, შიშის ზარს სცემს არა მხოლოდ ნიგერიას, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსაც, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მან ასიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა.

„ბოკო ჰარამი“ დაჯგუფების დევიზს წარმოადგენს და ითარგმნება, როგორც „დასავლური განათლება აკრძალულია“. ის 2002 წელს მოჰამედ იუსუფის მიერ შეიქმნა და ახალგაზრდა რადიკალების მიერ იმართება. ორგანიზაციის ხელახალი აღორძინება კი 2010 წლიდან დაიწყო. ამჟამად მისი ლიდერი აბუბაქარ შეკაუა. ტერორისტულმა დაჯგუფებამ ვიდეოების გამოქვეყნება აქტიურად სწორედ 2010 წლიდან დაიწყო, რომელშიც აცხადებენ, რომ ქრისტიანებთან ომის მდგომარეობაში არიან და ყველა მოწინააღმდეგეს განადგურებით ემუქრებიან.

ტერორისტების განლაგების ადგილი, ძირითადად, ნიგერიის ჩრდილოეთი ნაწილია, რომელიც ისლამის მიმდევრებითაა დასახლებული და ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ რეგიონს წარმოადგენს. ამის გამო მათი თავდასხმები უმეტესად სწორედ ჩრდილოეთ ნიგერიაში ხდება. ჯგუფის „შტაბ-ბინა“ ბორნოს შტატის ქალაქ მაიდუგურშია, სადაც რამდენიმე მასშტაბური, მათ შორის ბოლო, თავდასხმა განახორციელეს. ქვეყნის ჩრდილოეთი რეგიონში კორუფციამ, ეკონომიკურმა დესტაბილიზაციამ და მასშტაბურმა უთანასწორობამ რადიკალი ექსტრემისტების რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

„ბოკო ჰარამს“ აქტიურად უერთდებიან ადგილობრივები, რასაც სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: უმუშევრობა, სიღარიბე, რითაც ექსტრემისტი რელიგიური ლიდერები მანიპულირებენ და ისლამის ნამდვილი მოძღვრების არცოდნა.

თავდაპირველად ორგანიზაცია თავდასხმებს ნიგერიის სამთავრობო შენობებზე - პოლიციის, დაცვის თანამშრომლების, სამხედრო დანიშნულების ადგილებზე ახორციელებდა. პირველი მასშტაბური თავდასხმა 2010 წელს დაჯგუფების ლიდერის მოჰამედ იუსუფისა და ასობით მისი მიმდევრის შურისძიების მიზნით მოახდინეს. ამის შემდეგ კი ისინი სამოქალაქო დანიშნულების შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებზე გადავიდნენ.

დაჯგუფება, რომელსაც მთავრობის ხელისუფლებიდან ჩამოშორება სურს, ომს უცხადებს ნიგერიის ხელმძღვანელობას. „ბოკო ჰარამი“ მთავრობის წევრებს ნამდვილ მუსლიმებად არ აღიქვამს. მათი მიზანი ისლამური სახელმწიფოს შექმნა და მასში შარიათის კანონების დამკვიდრებაა.

ბოლო წლებში დაჯგუფებამ ტერორისტული თავდასხმები გაახშირა, რითაც ყველაზე ცნობილ დაეშს-საც კი გადააჭარბა. მის მიერ მოკლული ადამიანების ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია, თუმცა 2014 წელს *Cameroon Journal*-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მთლიანობაში მათ დაახლოებით 11 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. 2015 წლის *Global Terrorism Index*-ის მიხედვით კი, „ბოკო ჰარამმა“ მხოლოდ 2014 წელს 6,644 ადამიანი იმსხვერპლა და გაუსწრო „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელმაც ამავე წელს 6073 ადამიანი მოკლა.

„ბოკო ჰარამი“ აქტიურად თანამშრომლობს დაეშთან. 2014 წელს ნიგერიულმა დაჯგუფებამ თავის ვიდეოებში აისისი-ს დროშის გამოყენება დაიწყო, რომელშიც მის მიმართ მხარდაჭერას ღიად აცხადებდნენ. როგორც *Wall Street Journal* იტყობინება, ნიგერიული ტერორისტული ორგანიზაცია საკუთარ ტაქტიკასა და მედიასთან ურთიერთობაში ინტენსიურად იყენებს დაეში-ს დახმარებას. მის გარდა, დაჯგუფებას კავშირები აქვს „ალ ქაედასთან“, „ისლამურ მაღრიბსა“ და სომალურ „ალ შაბააბთან“. სწორედ ამ ტერორისტულ დაჯგუფებების წყალობით და გატაცებული ადამიანების სანაცვლოდ ფულის გამოძალვით მარაგდება ორგანიზაცია, ერთი მხრივ, ფულით, მეორე მხრივ, იარაღით.

ნიგერიული დაჯგუფება არანაკლებ სასტიკი ქმედებებით გამოირჩევა, ვიდრე დაეში. თუმცა, ნათელი შესამჩნევია, მას მედიაში იმდენი ყურადღება არ ექცევა, რამდენიც „ისლამურ სახალიფოს“. ამის მიზეზი კი მათ მიერ განსაზღვრული სამიზნეებით აიხსნება. აისისი მოქმედების ადგილად დასავლეთს ირჩევს, ატყვევებს ამერიკელ და ბრიტანელ მოქალაქეებს, „ბოკო ჰარამი“ კი ტერორისტული აქტებს ნიგერიაში, უფრო ფართო მასშტაბით კი დასავლეთ აფრიკაში, აწყობს. შესაბამისად, მათი ქმედებები დასავლეთის მედიაში ნაკლებად შუქდება.

შესაძლებელია, რომ თავად ნიგერიის ხელმძღვანელობა ტერორისტული დაჯგუფების საბოლოოდ დამარცხებისთვის საკმარისად მოწადინებული არ ჩანს. მართალია, მთავრობამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ფაქტია, ეს ტერორისტულ დაჯგუფებას ვერ აჩერებს. ნიგერიის პრეზიდენტმა გუდლაქ ჯონათანმა და მისმა მთავრობამ „ბოკო ჰარამი“ 2013 წელს ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადა და საგანგებო მდგომარეობაც შემოიღო. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა „ერთობლივი სამუშაო ძალები“,



რომელშიც პოლიცია, ჯარისკაცები და სპეცაგენტები სახელმწიფო უსაფრთხოების სერვისის სპეცაგენტები შევიდნენ. ამ ჯგუფის შექმნამ გარკვეულწილად შედეგი გამოიღო, „ბოკო ჰარამი“ დიდი ქალაქებიდან განდევნა, თუმცა მისი მთლიანად განადგურება ვერ მოხერხდა.

მაშინ, როდესაც ნიგერიის მთავრობა ტერორისტული დაჯგუფების მიმართ სათანადო პოლიტიკას არ/ვერ ახორციელებს, პრობლემის გადასაჭრელად არც საერთაშორისო აქტორები იღებენ დიდ ძალისხმევას. ამის მაგალითად ნიგერიის მეზობელი და ტერორიზმის საფრთხის ქვეშ მყოფი კამერუნიც გამოდგება, სადაც 2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით, „ბოკო ჰარამთან“ საბრძოლველად ამერიკელ ჯარისკაცთა მხოლოდ 300 კაციანი კონტიგენტია განლაგებული. დასავლეთის პასიურობის მიზეზი საკმაოდ მარტივია: ტერორისტული დაჯგუფება უმეტესწილად ნიგერიის პრობლემაა, მას უქმნის საფრთხეს და არა დასავლეთსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

პუტინის იმპერიალისტური ბებმები პოსტ-საბჭოთა სივრცეს სცდება

თეიმურაზ შა

კომუნისტების მმართველობის პერიოდში მოღვაწე პოლონელი პუბლიცისტი და სატირიკოსი, სტანისლავ ეჟი ლეცი ამბობდა, რომ „ეშმაკი ჯოჯოხეთში - დადებითი პერსონაჟია“. ეს ციტატა ძალიან კარგად ასახავს რუსეთის მოსახლეობის უმეტესობის დამოკიდებულებას ვლადიმერ პუტინის მიმართ, რომელმაც, მათი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფეხზე წამოაყენა ფედერაცია. მიუხედავად რუსეთში არსებული რეალობისა, სადაც რუბლი სამჯერ არის გაუფასურებული, კორუფცია და ბიუროკრატია ხარობს, ქვეყანა კარგავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორებს (უკრაინის, დასავლეთის, თურქეთის, ეგვიპტის სახით), ФОМ-ის („საზოგადოების აზრის ფონდის“) ბოლო კონფიდენციალური ინტერნეტ - კვლევის თანახმად, რომელიც 2016 წლის 24 იანვარს გამოქვეყნდა, გამოკითხულთა 72% დადებითად, ხოლო 4% - უარყოფითად აფასებს რუსეთის პრეზიდენტის საქმიანობას. ეს ყოველივე კი შეიძლება აიხსნას რუსული პროპაგანდისტული მანქანის მუშაობითა და ახალი ნაციონალისტური იდეის დანერგვით, რომელიც განპირობებულია საერთაშორისო და შიდა გამოწვევებით.

შარშანდელისგან განსხვავებით, როცა პროპაგანდა ნაწილობრივ საბჭოთა კავშირის სიდიადეს ასახავდა, წელს ტენდენცია შეიცვალა. 21 იანვარს განათლებისა და მეცნიერების საბჭოს სხდომაზე, ვლადიმერ პუტინმა გააკრიტიკა ვლადიმერ ლენინი - მსოფლიო პროლეტარიატის მამა.

„ვლადიმერ ლენინის იდეამ არ გაამართლა. მას ბევრი იდეა ჰქონდა, თუმცა საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა, - ავტონომიზაციამ და ა.შ. საბჭოთა კავშირი დაშლამდე მიიყვანა, და თავის მხრივ, ბირთვული ბომბი ჩაუდო რუსეთის სახელმწიფოებრიობის საფუძველს“, - აღნიშნა პუტინმა. 25 იანვარს, მან დააკონკრეტა, რომ რუსეთის იმპერია იყო უნიტარული სახელმწიფო, ხოლო ლენინის ავტონომიზაციამ და სუბიექტებად დაშლამ რუსეთის სახლემწიფო დაქსაქსა. მათ შორის საუბარი იყო უკრაინისთვის დონბასის გადაცემაზე, სამეფო ოჯახის დახვრეტაზე, განკულაკებასა და რეპრესიებზე, რაც პუტინმა დიდ შეცდომად შეაფასა.

საინტერესოა, რომ კრემლმა საბჭოთა კავშირის, კერძოდ კი ლენინ-სტალინის მოღვაწეობის ერთგვარი დემონიზაცია 2014 წელს დაიწყო, სწორედ მაშინ, როცა უკრაინაში კრიზისი და სამოქალაქო ომი იწყებოდა, ხოლო რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. მაშინ ამას კრემლი საბჭოთა კავშირის „შეცდომების გამოსწორებას“ უწოდებდა, და ხაზს უსვამდა იმაზე, რომ სსრკ-მა არა ერთი შეცდომა დაუტოვა რუსეთს.

აღსანიშნავია, რომ რუსე-თის ფედერაციის ახალი ნაციონალისტური იდეა არის „რუსული სამყარო“ (*Русский Мир*); თეორია 2006 წლისთვის შეიქმნა, და ის სამ ძირითად ბურჯს ეფუძნება: მართლმადიდებლობა (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს წინამძღოლით), რუსული კულტურა და ენა (კერძოდ კი, საზღვარგარეთ რუსული ენის პოპულარიზაცია, და დიასპორების გააქტიურება) და საერთო ისტორიული წარსული, არა საბჭოთა კავშირის ჩარჩოებში, არამედ რუსეთის იმპერიის სახით. უკანასკნელი ორი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის უშუალო საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს, რაც გარდა პოსტ-საბჭოთა სივრცისა, ასევე მოიცავს მონღოლეთს, ირანისა და თურქეთის ნაწილებს, ბულგარეთსა და პოლონეთს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი აპირებს ამ ტერიტორიების დაპყრობას ახლო მომავალში, თუმცა ის აუცილებლად გამოიყენებს რბილ ძალას (რუსულ ენას, დიასპორად და ა.შ.), და შეეცდება „დარჩეს“ აღნიშნულ რეგიონებში.

გარდა ამისა რუსეთის მედიაში სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის 1916 წლის ანტანტის წევრებს შორის აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის პირობები, რომლის ფარგლებში მაშინდელი კონსტანტინოპოლი, თრაკია და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის მიწები (ართვინი, არდაღანი, ყარსი და არზრუმი) რუსეთის იმპერიას უნდა გადასცემოდა (კონსტანტინოპოლისა და საიქსპიკოს ზავების თანახმად). ეს არ მოხდა იმიტომ რომ, 1917 წლის რევოლუციის შედეგად საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გერმანიას კაპიტულაცია გამოუცხადა და პირველი მსოფლიო ომიდან გამოითიშა, რის შედეგადაც დატოვა ანტანტაც და არც გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ანტი-ლენინისტური და პრო-იმპერიული რიტორიკა შეინიშნება 2008 წლიდან, როცა რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო კრემლმა ეს პრეცედენტი ახსნა არა მარტო ხალხთა თვითგამორკვევით, არამედ იმითაც, რომ აფხაზთა სამთავრო შევიდა რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში დამოუკიდებელ სუბიექტად. რა თქმა უნდა, კრემლი არ აღნიშნავს თუ რა ხოცვა-ჟლეტის შედეგად შევიდა შარვაშიძეების სამფლობელოები მის დაქვემდებარებაში, და რამდენი კაცი შეეწირა ამ პროცესს.

რუსეთის იმპერიული წარსულის რომანტიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს ტერიტორიული იურისდიქცია. მოსკოვის საპატრიარქოს თანახმად მის დაქვემდებარებაში შედის რუსეთის იმპერიის ყველა ნაწილი, გარდა საქართველოს, სომხეთისა და პოლონეთისა. პატრიარქ კირილეს არა ერთხელ უხსენებია, ის რომ უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი, მოლდოვა და ყაზახეთის წარმოადგენენ წმინდა რუსეთს. ის ასევე აღნიშნავდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის დიდ როლს რუსეთის აღორძინებაში და გმობდა კომუნისტების მიერ „მის ბარბაროსულ დახვრეტას იპატიევის სახლში“.

დეცენტრალიზაციის მომხრე ლენინის დემონიზაცია, და რუსულ იმპერიულ წარსულზე ნაციონალიზმის აგება რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს: - უკრაინის მოვლენები, პუტინის რიტორიკიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში დონბასის ანექსია, და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში ჩართულობა (თურქეთთან ურთიერთობების გამწვავების პერიოდში).

საერთაშორისო ფორუმი: საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

2016 წლის 1 და 2 თებერვალს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები". ფორუმი ჩატარდა პროექტ „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების გავნითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, ბრემენის უნივერსიტეტთან პარტნიორობით და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

მთავრობის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, ფორუმზე სიტყვით წარსდგნენ უცხოელი ექსპერტები: მაიკლ ემერსონი - ევროპული პოლიტიკის სწავლებათა ცენტრის (CEPS) უფროსი მკვლევარი, ფედერიკო ტარანტინი - ევროკომისიის საგარეო ენერგეტიკის პოლიტიკის ოფიცერი (DG Energy), იოხენ ციმერმანი - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, ანდრეი ილარიონოვი - CATO ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, ლინკოლნ მიტჩელი - პოლიტოლოგი და ექსპერტი საქართველო-ამერიკის ურთიერთობების საკითხებში და მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე - საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის (FPRI) ასოცირებული მკვლევარი.

ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და IDFI-ს დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა გახსნეს. გიორგი კლდიაშვილმა გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ფორუმის მიზნებზე და ისაუბრა მსგავსი ფორმატით ჩატარებული შეხვედრების მნიშვნელობაზე, სადაც მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები განიხილავენ საქართველოს განვითარების გამოწვევებსა და პერსპექტივებს. პრემიერ მინისტრმა ისაუბრა საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიღწევებზე. კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობის საქმიანობა არის ღია და გამჭვირვალე და ამ მხრივ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავებისა და განხილვის პროცესში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, სამოქალაქო საზოგადოების და საექსპერტო წრის წარმომადგენლების ჩართვა მნიშვნელოვანია. პრემიერ მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ არჩევანზე და ისაუბრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

ფორუმის გახსნის ცერემონიაზე მოხსენებებით ასევე წარსდგნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში - იანოშ ჰერმანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - ბეტინა კადენბახი. იანოშ ჰერმანმა ისაუბრა ეკონომიკური განვითარების როლზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში, აღნიშნა ამ მხრივ არსებული გამოწვევები და იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე რეფორმები ხელს შეუწყობს საქართველოს კონკურენტუნარიანობასა და ქვეყნაში უკეთეს ბიზნეს გარემოს განვითარებას. ევროკავშირის ელჩმა ხაზი გაუსვა ევროკავშირის როლს საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესში და ისაუბრა თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების მნიშვნელობაზე საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში - ბეტინა კადენბახმა შეკრებილ საზოგადოებას პროექტი „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება" გააცნო და ისაუბრა გერმანიის როლზე აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისათვის მიმართულ პროგრამებზე. კადენბახმა ისაუბრა საქართველოს მნიშვნელობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის და დადებითად შეაფასა საქართველოს მიღწევები ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით. გერმანიის ელჩმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი და ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. ელჩის განცხადებით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში მონიტორინგის მისიის გაგრძელებას და აღნიშნა, რომ ახლახანს ევროკავშირმა მანდატი გაუგრძელა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში გერმანელ დიპლომატს - ჰერბერტ ზალბერს. არსებული გამოწვევების მიუხედავად, კადენბახმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში გაგრძელდება ის რეფორმები, რომელიც ქვეყანას ევრო-ატლანტიკურ გაერთიანებასთან დაახლოების პროცესში დაეხმარება.

ფორუმის გახსნის ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა პირველი საპანელო განხილვა „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები". საპანელო განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა - მიხეილ ჯანელიძემ, ევროპულ და ევროატლანტიკურსტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა - დავით ბაქრაძემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში - ბეტინა კადენბახმა, ევროპული პოლიტიკის სწავლებათა ცენტრის (CEPS) უფროსმა მკვლევარმა - მაიკლ ემერსონმა და საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის (GCSD) დირექტორმა და ნატოში საქართველოს ყოფილმა ელჩმა - ლევან დოლიძემ. საპანელო განხილვას, სადაც მომხსენებლებმა ისაუბრეს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე და ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე, გაუძღვა ექსპერტი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში - მიხეილ დარჩიაშვილი. მომხსენებლების სიტყვით გამოსვლის შემდეგ, დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში ფორუმზე მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ფორუმის პირველი დღის რიგით მეორე საპანელო განხილვა დაეთმო საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობის ძირითადი მიმართულებების განხილვას. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილებ - გიგი გიგიაძემ, ევროკომისიაში საგარეო ენერგეტიკის პოლიტიკის ოფიცერმა - ფედერიკო ტარანტინიმ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ევროინტეგრაციის მიმართულების მენეჯერმა - ვანო ჩხიკვაძემ. საპანელო განხილვას უძღვებოდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი - კახა გოგოლაშვილი. პანელის მონაწილეებმა და ფორუმის სტუმრებმა ისაუბრეს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის, ევროპის თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზა ლიბერალიზაციის პროცესში არსებულ გამოწვევებზე.

ფორუმის მეორე დღე დაეთემო საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესების განხილვას. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა შესაფასებლად საპანელო განხილვაში მოწვეულნი იყვნენ პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ხელმძღვანელი - ალექსი ალექსიშვილი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი - იოხენ ციმერმანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი - იაროსლავა ბაბიჩი და CATO ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი - ანდრეი ილარიონოვი. განხილვას უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - ვლადიმერ პაპავა. მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე და განიხილეს ამ მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები.

ფორუმის ბოლო საპანელო განხილვა დაეთმო საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებზე საუბარს. საპანელო განხილვაში მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში - ნილს სკოტი; მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD) თავმჯდომარე - გია ნოდია; პოლიტოლოგი და ექსპერტი საქართველო-ამერიკის ურთიერთობების საკითხებში - ლინკოლნ მიტჩელი და საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის (FPRI) ასოცირებული მკვლევარი - მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე. საპანელო განხილვის მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე და გამჭვირვალე, ღია და კარგი მმართველობის საკითხებზე.

საპანელო განხილვას უძღვებოდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი.

ტექნო პარკი ანუ ინოვატორების ხორცშესხმული ოცნება

თამარ უმფრიანი

საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს ბაზაზე ახლად გახსნილ ტექნო პარკში 2016 წელი ახალი პროექტებითა და ინოვაციებით დატვირთული იქნება. ტექნო პარკის ფუნქცია-მოვალეობებსა და მისი განვითარების სამომავლო გეგმებზე „ობზერვერი“ სააგენტოს თამჯდომარეს ირაკლი ჩაფიძეს ესაუბრა.

ბატონო ირაკლი, ტექნო პარკის გახსნასთან დაკავშირებით აქ არსებული რესურსის გამოყენება მსურველებს უფასოდ შეუძლიათ. შენარჩუნდება თუ არა ეს ტენდენცია მომავალში?

ზოგადად მსგავსი პრინციპი ჩვენს სხვა ლაბორატორიებშიც მოქმედებს. რეალურად ეს იმისთვისაა, რომ კარგად დავინახოთ ვინ არის ჩვენი მომხმარებელი. მიუხედავად ჩვენი მხრიდან სხვადასხვა სახის სერვისის შეთავაზებისა, მნიშვნელოვანია გავერკვეთ თუ რაზე ვახდენთ ზეგავლენას. ინოვატორებისთვის მუდმივად ვქმნით სასიამოვნო და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს. იქნება ეს გრანტებისა თუ უფასო მომსახურების სისტემა საკუთარი იდეებს ტრანსფორმაციისათვის. თუმცა, სპეციალური პირობები გვაქვს კომერციული კომპანიებისა და ბიზნეს სექტორისთვის. ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ბიზნესს, რომელსაც თავისი კერძო ინტერესები მოჰყვება, ვგულისხმობ ფინანსებს, ინვესტიციების ბრუნვას, რაც ჩვენი საქმიანობის მდგრადობისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

შესაბამისად, შეთავაზებები განსხვავებულია ინოვატორებისა და პოტენციური ბიზნეს პარტნიორებისთვის. ტექნოპარკის წევრებისთვის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ვორქშოპები, საშუალება აქვთ იმუშაონ ისეთ ახალ ტექნოლოგიებთან, როგორიცაა 3D დიზაინი. ასევე, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ჩვენს პლატფორმაზე და გამოიყენონ ტექნო პარკის ბაზაზე არსებული ტექნიკა.

ძირითადად რა ასაკობრივი სეგმენტის წარმომადგენლები არიან ჩართულნი ამ პროცესებში?

ეს არის ფართო სპექტრი, როგორც ბავშვები და სტუდენტები, ასევე ასაკოვანი ადამიანები. ჩვენი მიზანია საინჟინრო განათლების, კრეატივისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე ადამიანების კომბინაცია, რათა ერთმანეთთან ეფექტურად და შედეგიანად ითანამშრომლონ. ცოტა ხნის წინ განათლების მეცნიერების მიერ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ქვეყნის წარმატებული მეცნიერები და პროფესორები ესწრებოდნენ, საუბარი იყო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოსა და ტექნო პარკის მიზნების შესახებ. აღნიშნული იყო, რომ ჩვენი წამოწყებით კმაყოფილნი არიან.

როგორია თქვენი გეგმები ქვეყნის სხვა ქალაქებთან მიმართებაში, რა პროექტებს გეგმავთ დედაქალქს გარეთ?

ჩვენი ამოცანაა ინოვაციებისთვის ინფრასტრუქტურა ყველა რეგიონში იყოს წარმოდგენილი. პროექტის ფარგლებში მსოფლიოს ბანკის ხელშეწყობით ყველა მსხვილ ქალაქში ვგეგმავთ ფილიალის გახსნას. ამჟამად ბიბლიოთეკის ბაზაზე საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრის მზადება მიმდინარეობს. ერთი ასეთი ბაზა უკვე გვაქვს ხარაგაულში, ხოლო ბაღდადში, ჭოპორტსა და ოზურგეთში სარემონტო სამუშაოები სრულდება. ქუთაისსა და ბათუმში უკვე ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია. გვსურს, რომ ამ პროექტში ადგილობრივი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით მთელი საქართველო ჩაერთოს, რათა ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას და გავზარდოთ შექმნილი პროდუქტის ეფექტურობა.

ტექნო პარკში წარმოდგენილია „სამსუნგის“ ოთახი, სადაც მსურველებს ტექნიკის დათალიერება და გამოყენება შეუძლიათ. რამდენად დიდია სხვა კომპანიების დაინტერესება ამ მხრივ?

მოლაპრაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა კომპანიებთან. ახლა უფრო დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობით, რადგან დაინახეს, რომ ხალხის ინტერესი და ინოვატორთა რესურსი გაიზარდა. მათ კარგად ესმით, რომ საბოლოოდ ეს არის ურთიერთმოქმედი პროცესი, რომლის შედეგიც ორივე მხარისთვის სასარგებლო და მომგებინი იქნება.

პოსტ საბჭოთა სივრცეში ბელარუსი არის ტექნო პარკების წარმატების მაგალითი. იქ წარმოებული IT პროდუქციის დაახლოებით 80% გადის ექსპორტზე ევროპის ქვეყნებში. რამდენად გვაქვს ჩვენ მსგავსი შედეგის მიღწევის რესურსი?

რესურსი ნამდვილად გვაქვს. ხარვეზების გამოსწორებითა და პროცესში უფრო მეტი კვალიფიციური კადრების ჩართვით მსგავსი შედეგების მიღწევა შესაძლებელია. ჩვენ უკვე დავიწყეთ ტრენერების გადამზადების პროცესი. უკვე გვყავს 120 ტრენერი და პროგრამირების განხრით მათი სწავლება კვლავ მიმდინარეობს. ვცდილობთ, რომ შევქმნათ საჭირო უნარების მქონე პერსონალის საკმარისი რაოდენობა. ამ მხრივ, ბელორუსი წინაა და ეს სქემაც გამართულად მუშაობს. თუმცა, არსებობს სფეროები, რაშიც ვუსწრებთ და ჩვენს პრაქტიკას იზიარებენ. ეს ყოველივე ურთიერთმოქმედი პროცესია. ჩვენთან წარმატებულია მრეწველობის ლაბორატორიები, „Start up”-ები. ბელორუსის შემთხვევაში ამ პროცესში კერძო ბიზნესი უფრო მეტადაა ჩართული. მათგან განსხვავებით ჩვენ ძირითადი რესურსი გვაქვს და ახლა კი ბიზნესის მხარდაჭერა გვჭირდება.

ტექნო პარკი სულ რამდენიმე კვირის გახსნილია, ხომ არ ყოფილა ამ ბაზაზე ახალი ინოვაციური პროდუქციის შექმნის პრეცედენტი?

ეს ფილიალი 11 იანვარს გაიხსნა, ამიტომ ჯერჯერობით მსგავსი პრეცედენტი არ მომხდარა. თუმცა, რა თქმა უნდა, მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ტექნო პარკში ინოვატორებისთვის გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელიც აქამდე „Fab Lab”-ის ბაზაზე ტარდებოდა. ამჯერად მონაწილეობის მსურველი 51 გუნდი დარეგისტრირდა, რაც წინა მაჩვენებლებთან შედარებით ორჯერ მაღალია. ჩვენთან ნებისმიერი სახის ინოვაციამ შეიძლია მოიპოვოს მხარდაჭერა, მთავარია იდეის ავტორებმა მისი სწორად ტრანსფორმაცია და საბოლოო პროდუქტად ჩამოყალიბების სწავლა შეძლონ. სწორედ ესაა ჩვენი მთავარი მიზანი და მისია.

როგორია თქვენი გეგმები უახლოესი მომავლში?

ჩვენ უნდა შევქმნათ ჯანსაღი სამუშაო გარემო და ტექნოლოგიური პარკი უნდა იქცეს ინოვატორების იდეების ხორცშესხმის ადგილად. მიზანს წარმოადგენს ქართული პროდუქტისთვის საერთაშორისო ბაზრის შექმნა და ინოვატორების მომზადება, რათა მათ შეძლონ საკუთარი იდეების პროდუქტად გარდასახვა და პარტნიორებისა და ფინანსების მოძიება. საქართველოს აქვს იმის წინაპირობა, რომ ინოვაციური პროექტების განვითარების კუთხით რეგიონის ლიდერი გახდეს.

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

DRC - the best Arbitration in Georgia

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.71, 1 სართული. ტელ: 2 207 327
Georgia, Tbilisi, Vaja Pshavela ave. 71, 1 Floor. Tel: 2 207 327

www.drc-arbitration.ge

ქართველი მშვიდობისმყოფელები საერთაშორისო სკანდალში გაეხვნენ

ირაკლი ფავლენიშვილი

გაერო-ს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ზაიდ ალ ჰუსეინის ანგარიშში ხაზგასმულია ფაქტი რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამი არასრულწლოვანი გოგონა, რომელთა ასაკი 14-დან 16 წლამდეა, ევროკავშირის სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებს, კერძოდ კი, ქართველ მშვიდობისმყოფელებს, სექსუალურ ძალადობაში დებენ ბრალს. გოგონების განცხადებით, ქართველი ჯარისკაცები მათ საკვების მიწოდების სანაცვლოდ სექსუალური კონტაქტის დაკავებას აიძულებდნენ. დანაშაულის ჩადენის პერიოდად 2014 წლის შემოდგომა სახელდება. გაერო-ს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუპერტ კოპევილმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს უაღრესად შემაშფოთებელი თემაა, ხოლო შესაძლო ბრალეულობის შემთხვევაში დაუსჯელობა მშვიდობისმყოფელთა მისიისთვისა და მთლიანად რეგიონისთვის ცუდი პრეცედენტი იქნება. მან ასევე დასძინა, რომ მოხარულია შესაბამისი ქვეყნების მიერ გაკეთებული ოპერატიული ნაბიჯებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კომისრის ანგარიშს იმავე დღეს გამოეხმაურა. გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ განაცხადა, რომ სიმართლის დადგენამდე დროებით დათხოვნილია ის 6 სამხედრო პირი, რომელთაც ფაქტის გამოძიება ევალებოდათ და დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვეს. განცხადებები ოპერატიული რეაგირების აუცილებლობასა და ქართული არმიის პრესტიჟის დაცვაზე თავდაცვის მინისტრისა და სხვა ოფიციალური პირების მხრიდანაც გაკეთდა. გაერო-ს მიერ დაწყებულ გამოძიებაში საქართველოს სამხედრო პოლიციაც ჩაერთო.

სექსუალური ძალადობა საერთაშორისო სამართლის მიერ ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად მიიჩევა. რიგ შემთხვევებში თავისი სიმძიმით ის ისეთ დანაშაულებს უთანაბრდება, როგორიცაა: კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ომის დანაშაული და გენოციდი. 1949 წლის ჟენევის კონვენციითა და მისი 1977 წლის დამატებითი ოქმებით განისაზღვრა, რომ სექსუალური ძალადობისგან ქალები დაცულნი არიან ორდონიანი ფორმატით. აღნიშნული ფორმატი გულისხმობს ჩვეულებრივი დაცვის რეჟიმს, რომელიც თანაბრად ვრცელდება კაცებსა და ქალებზე, და სპეციალური პროტექციით, რომელიც ამ დანაშაულის ჭრილში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა უფრო იოლად მოწყვლადი ბუნებიდან გამომდინარეობს. ძალადობას ქალთა წინააღმდეგ კრძალავს გაერო-ს 1979 წლის კონვენცია, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მე-5 რეზოლუცია, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აკრძალვის 1994 წლის კონვენცია, ასევე, მაპუტოს 2003 წლის აქტი, რომელიც იცავს ქალთა უფლებებს აფრიკაში.

გაეროს მშვიდობისმყოფელთა მანდატს განსაზღვრავს გაერო და მისი უშიშროების საბჭო სხვადასხვა რეზოლუციებით, მათ შორის, უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციით ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, სადაც ხაზგასმულია ქალების მძიმე მდგომარეობა პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში, რომელიც რეკონსტრუქციას განიცდის. აქვე მითითებულია მშვიდობისმყოფელთა განსაკუთრებული როლი ქალების რეაბილიტაციასა და მათ დაცვაში.

აღნიშნული სამართლებრივი რეალიების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ სამხედროებს ბრალი ედებათ მძიმე საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულში, რომელიც არღვევს საერთაშორისო კონვენციებს, რეზოლუციებს და ჩრდილს აყენებს ქართული შეიარაღებული ძალების რეპუტაციას, რომელიც ბოლო 17 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში გამყარებულია მებრძოლთა სამშვიდობო მისიებში მაღალპროფესიონალური და ღირსეული სამსახურით. მსგავსი ბრალდება მალიში მომხდარი დანაშაულის გამო ქართველების მისამართით წინა წელსაც გაისმა, თუმცა მაშინ დამნაშავეები ფრანგი მშვიდობისმყოფელები აღმოჩნდნენ. ამ სკანდალს კი ფრანგული სამშვიდობო მისიის მიერ ქვეყნის დატოვება მოჰყვა.

მშვიდობისმყოფელთა დისკრედიტაცია რეალურად ხელს აძლევს ადგილობრივ და საერთაშორისო ძალებს, რომელთაც სამშვიდობო მისიების დასრულება და კონტიგენტების მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება სურთ. უშუალოდ ქართული შეიარაღებული ძალებისა და სახელმწიფოს საერთაშორისო რეპუტაციის შელახვა კი მხოლოდ ერთი საერთაშორისო მოთამაშის ინტერესებში შედის. გამორიცხული არაა ქართველ მშვიდობისმყოფელთა ბრალდება სახელმწიფოს დისკრედიტაციის მოტივით წარმოებულ მიზანმიმართულ კამპანიას ემსახურებოდეს. შესაძლოა შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ერთ წელიწადში ქართულ არმიას ორი უმძიმესი ბრალდების მოსმენა მოუწია. ქართული არმიის საერთაშორისო მისიებში ჩართულობა ერთ-ერთი მთავარი სარგებელია, რასაც დემოკრატიული მსოფლიო საქართველოსთან ურთიერთობის შედეგად იღებს.

კითხვები გააჩინა საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა დროებითმა საკადრო გადაწყვეტილებამ - თანამდებობიდან დაეთხოვათ საქმესთან სავარაუდოდ დაკავშირებული სამხედრო პირები, რომელთაც წვლილი მიუძღვით ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. სამხედროების მანამდე დათხოვნა, სანამ ბრალდება არ დამტკიცებულა, შეიძლება ნაჩქარევ გადაწყვეტილებად აღვიქვათ, რითაც გენერალურმა შტაბმა ნდობა და სოლიდარობა არ გამოუცხადა ღვაწლმოსილ თანამშრომლებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ქართული არმიისა და მებრძოლების სახელის დისკრედიტაციას ემსახურება. მხოლოდ გამოძიების შემდეგ დადგინდება სიმართლე და ცნობილი გახდება საერთაშორისო თუ სახელმწიფო დონეზე მოთამაშე აქტორების ინტერესები.

დიასპორის მინისტრი ემიგრანტების დასახმარებლად დამატებით სახსრებს ითხოვს

ბუხანდა ძამელაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე ინიციატივით გამოდის, რაც გულისხმობს საზღვარგარეთ გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტების გადმოსასვენებლად დამატებით მილიონი ლარის გამოყოფას. აღნიშნული ინიციატივა მინისტრმა 3 თებერვალს გამართულ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე გააჟღერა.

„ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიხედვითაც, წელიწადში დაახლოებით 200 საქართველოს მოქალაქე კვდება უცხოეთში. არის ქვეყნები, სადაც გვამები მაცივრებში ინახება. დაახლოებით მილიონ დოლარზეა ლაპარაკი და თუ ქვეყანა აიღებს ამ საკითხს თავის თავზე, შესაძლებელია ეს პრობლემა მოგვარდეს“, – განაცხადა დუმბაძემ. მისი ინფორმაციით, კვლევა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს უკვე გადაეცა.

შეხვედრაზე, რომლის მიზანსაც ქართველის ემიგრანტების წინაშე მდგარი პრობლემების განხილვა წარმოდგენდა, სახელისუფლებო სტრუქტურების, მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და საპატრიარქოს წარმომადგენელთა შორის მინისტრმა არაერთი პრობლემა და რეკომენდაცია გაახმაურა. მან, ასევე, გამოხატა ინიციატივა მსგავსი შეხვედრების უფრო ხშირად, წელიწადში ორ – სამჯერ დანიშვნის თაობაზე.

„ქვეყანაში მოუწესრიგებელია მიგრაციის პროცესები. 2015 წელს მილიონ 800 ათასმა ადამიანმა გადაკვეთა ევროპის საზღვარი, თუ ეს პროცესები ასე იქნა მიშვებული, შეიძლება შენგენის ზონას პრობლემა შეექმნას. თუმცა, ქვეყნიდან გასულ და შემოსულ ხალხთა ოდენობა თითქმის თანაბარია“, – განაცხადა დუმბაძემ. მინისტრმა თანხების სიმწირეზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დიასპორისთვის გამოყოფილი თანხა ემიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად საკმარისი არ არის.

„დიასპორას წელიწადში მხოლოდ ნახევარი მილიონი დოლარი აქვს. ჩვენ სისტემატურად უზრუნველვყოფთ მათ სასწავლო წიგნებით, ვცდილობთ, შევქმნათ სპეციალური სახელმძღვანელოები. დავეხმაროთ ადამიანებს, რომლებიც გასულები არიან უცხოეთში და ოჯახის სარჩენად დაუღალავ შრომას ეწევიან. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ეს არის მერყევი თანხა, რომელიც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10–12% შეადგენს ანუ მთლიანობაში მილიარდ 200 მილიონი დოლარის ფარგლებშია“, – განაცხადა დიასპორის მინისტრმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხვდებოდა ქართული სათვისტომოების წარმომადგენლებს და მათ პრობლემებს ეცნობოდა.

მინისტრის მიერ ქართულ დიაპორებთან შეხვედრისას განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ისეთი საკითხები როგორიცაა: საზღვარგარეთ გარდაცვლილი ქართველების გადმოსვენება და დაკრძალვა, არალეგალი შრომითი მიგრანტებისთვის უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა, განსაკუთრებით კი, საბერძნეთსა და იტალიაში. ასევე, ქართული მართვის მოწმობების საზღვარგარეთ აღიარება, უცხოეთში დაგროვილი სამუშაო სტაჟის ცნობადობა, საქართველოში ემიგრანტთა პირადი ნივთების განბაჟების გარეშე შემოტანა და სხვა.

დიასპორის მინისტრი ვენაში ემიგრანტების მიერ 2015 წელს დაარსებული ერთ–ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასაც სტუმრობდა. როგორც დაწესებულების, თავმჯდომარე თამილა ჯერვალიძე აცხადებს, „ქართული სათვისტომო ავსტრიაში“ და მასთან არსებული საკვირაო სკოლა ძირითადად თვითდაფინანსებაზეა და სახელმწიფოსგან მხოლოდ წიგნებსა თუ სხვა მცირედ დახმარებას იღებს.

„ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ წყაროს საწევრო გადასახადი წარმოადგენს. ამით ვქირაობთ ფართს, სადაც საკვირაო სკოლა გვაქვს განთავსებული. სკოლაში ქართულის, გეოგრაფიის, ისტორიის გარდა ისწავლება ქართული ცეკვა, ხალხური სიმღერები, მარტიდან კი ფუნქციონირებას იწყებს ინგლისურისა და გერმანულის კურსები. საქართველოს დიასპორის სამინისტროს მხრიდან მატერიალური მხარდაჭერა გვაქვს მხოლოდ მიმდინარე პროექტ „საკვირაო სკოლაში“ წიგნებისა და სასწავლო პროგრამების სახით, რომელიც თბილისიდან უფასოდ გამოგვიგზავნეს“, – აცხადებს ჯერვალიძე „ობზერვერთან“ საუბარში.

მათი სურვილია, რომ მეტი თანხა გამოიყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის, თუნდაც „საკვირაო სკოლის“ ბავშვებისთვის შესაბამისი ინვენტარის, წიგნების, ქართული ტრადიციული საცეკვაო ფორმების, ქართული ხალხური საკრავების თუ სხვა მასალის შესაძენად. იმისთვის, რომ ბავშვებმა ქართული ენა არ დაივიწყონ, მნიშვნელოვანია სხვადასხვა გამომცემლობებთან შუამდგომლობა, რომლებიც მათ წიგნებით დაეხმარებიან.

დიასპორის მინისტრთან შეხვედრისას ემიგრანტებმა არაერთი სხვა პრობლემებიც განიხილეს, მათ შორის, ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიის გამოყოფის, საქართველოს განათლების ხარისხისა და მართვის ცენტრის მიერ აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის გასაცემი დოკუმენტების მოწესრიგების, ევროპაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას მქონე საქართველოს მოსალაქეებისთვის ტვირთის განბაჟების საკითხი, უცხოეთში გარდაცვლილის გადმოსასვენებლად ბიუროკრატიული პრო-ცედურების მოგვარება - გამარტივება და ნაწილობრივი ფინანსური დახმარება და ა.შ.

მინისტრთან შეხვედრა და პრობლემის გაზიარება ბევრმა ემიგრანტმა ვერ შეძლო, რადგან ქართული დიასპორა ყველა ქალაქში არაა წარმოდგენილი. შესაბამისად, მათ საჭირბოროტო საკითხების გაზიარება ონლაინ რეჟიმში უწევთ. ხშირად ისინი ერთმანეთს სხვადასხვა ქალაქში მართმადიდებლურ ეკლესიაში საღოცავად მისვლისას ხვდებიან და საუბრობენ.

25 წლის სტუდენტი მზია გოგოლაძე უკვე ორი წელია გერმანიის ქალაქ კოლნში ცხოვრობს. მან ბევრი ქართველი ახალგაზრდის მსგავსად „Au pair“-ის პროგრამით გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა და შემდეგ მაგისტატურაში ჩაბარება. ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დახმარებას უწევს სახელმწიფო ემიგრანტებს, არ აქვს, თუმცა, სხვა ქართველებთან კონტაქტს ინარჩუნებს.

„ვიცნობ საკმაოდ ბევრ ქართველს და დუსელდორფში ქართული ტაძარიც არის, სადაც შეძლებისდაგვარად მივდივარ ხოლმე. არსებობს „ფეისბუქის“ გვერდი, რომელშიც უამრავი ქართველია გაერთიანებული და ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, უწევენ დახმარებას. კოლნის ერთ–ერთ უნივერსიტეტში სტუდენტური გააერთიანებაცაა, რომელიც პოპულარიზაციას უწევს საქართველოს და დაინტერესებულ უცხოელებს ინფორმაციას აწვდის“, – ამბობს ის „ობზერვერთან“ საუბრისას.

მზია ბევრი თანამემამულიგან განსხვავებით, რომლებიც დაბრუნებას სხვადასხვა პრობლემების (ძირითადად ეკონომიკური) გამო ვერ ახერხებენ,

საქართველოში დაბრუნებას მაგისტრატურის დასრულების შემდეგ აპირებს.

„ემიგრანტის სტატუსი ცოტა გამაღიზიანებელია, ხშირად ვადევნებ ხოლმე თვალყურს სოციალურ ქსელში მიმდინარე განხილვებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე და არცთუ იშვიათად ემიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა. “თქვენ, ემიგრანტები” - უკვე რაღაც იარლიყია, რომელსაც უარყოფითი დატვირთვა აქვს და თითქოს სამშობლოს მოღალატეს ნიშნავს. არიან ისეთებიც, რომლებსაც წამოსვლა სურთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებენ. სამომავლო გეგმებზე დაზუსტებით საუბარი ჯერ რთულია, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ დავბრუნდები“, - აღნიშნა მზიამ.

საქართველოდან წასული ემიგრანტების უმეტესობა დღეს-დღეობით შრომითი მიგრანტია. დიასპორები შექმნილია თურქეთში, საბერძნეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, აჯერბაიჯანში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში. იმის გამო, რომ ბევრი ქართველი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები შრომითი ემიგრანტების რაოდენობის შესახებ არ არსებობს.

რა ჯავშირი აქვს რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიას ლორის გრიპთან და უნდა ველოდოთ თუ არა ეპიდემიის გამწვავებას?

ნინი ჯაფარიძე EXCLUSIVE

საქართველოში მცხოვრები ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი მიიჩნევს, რომ რეგიონში "ღორის გრიპის" გავრცელება შესაძლოა თბილისის აეროპორტთან მდებარე რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიასთან იყოს დაკავშირებული. მისი განმარტებით, ლაბორატორია, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ადამიანებსა და ცხოველებში ვირუსით ინფიცირების პრევენციაა ვერაფრით იჩენს თავს. სილვერმანის მტკიცებით, ლაბორატორია სინამდვილეში სულ სხვა საკითხებით არის დაკავებული და ვირუსის პრევენციის გზებზე არ მუშაობს. ჟურნალისტი ფიქრობს, რომ ლაბორატორიაში ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს აწარმოებდნენ და შემდეგ ადამიანებზე ცდიან.

რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა უარყოფითად შეაფასოთ?

ამის საფუძველი არაერთხელ გაჟღერებულა როგორც ქართულ, ასევე რუსულ მედია სივრცეში. აშშ-ის სამხედრო ძლებმა საქართველოს არჩევანი არ დაუტოვეს. შედეგმაც არ დააყოვნა და ხელშეკრულებაც გაფორმდა. მინდა გითხრათ, რომ ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილება. მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა მოსახლეობის ან თუნდაც, ცხოველების კეთილდღეობასთან.

აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ლაბორატორიის მიმართ გამოთქმული ყველა ეჭვი უარყო. თქვენ რა გაძლევთ საპირისპიროს მტკიცების საფუძველს?

მე კარგად ვერკვევი ბიოუსაფრთხოების სფეროში და შესაბამისი სერტიფიკატებიც მაქვს. ვფიქრობ, რომ აშშ-ის ელჩი ამ პროექტის შესახებ იტყუება. მე ეს მანამდე ვიცოდი, სანამ ის ძალაში შევიდოდა. ვირუსების კვლევის კუთხით კავკასია საუკეთესო მდებარეობაა და სწორედ ამიტომ აირჩია აშშ-მა აღნიშნული რეგიონი.

ისევ ნორლანდს დავუბრუნდები, მან თქვა, რომ ლაბორატორიას არც სამხედრო დანიშნულება აქვს და მითუმეტეს არც ბიო იარაღთან აქვს რაიმე კავშირი. გაქვთ რაიმე მტკიცებულება, რომ საწინააღმდეგო ამტკიცოთ, თუ ეს მხოლოდ თქვენი აზრია?

შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ლაბორატორიის საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია ვმუშაობ მეც და ჩემი გუნდიც. მოგეხსენებათ მე "ვეთერანს თუდეის" საქართველოს ბუროს ხელმძღვანელი ვარ. ჩვენი მიზნები არის სუფთა და ჩვენ ვზრუნავთ საზოგადოების უსაფრთხოებაზე. აი აშშ-ის ელჩზე კი იმავეს ვერ გეტყვით. მისი მიზნები და მოტივები ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია.

წლების წინ რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელის პოსტზე დაზვერვის ყოფლი უფროსი ანა ჟვანია დაინიშნა? რატომ?

კარგი შეკითხვაა. აშშ-ის თვალში ანა ჟვანია სანდო ადამიანი იყო. ამ პოზიციაზეც სწორედ ამიტომ დანიშნეს. ფულს მას სწორედ აშშ-ის მთავრობა უხდიდა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ამ პოზიციაზე ყოფნა დიდი პასუხისმგებლობაა და ჩვეულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანი ამას რთულად თუ გაართმევდა თავს.

ანა ჟვანიამ ერთხელ განაცხადა, რომ ლაბორატორიის მშენებლობა ხარისხიანად ჩატარდა და ის ძლიერ მიწისძვრასაც გაუძლებდა. ავარიის შემთხვევაში კი ჩვეულებრივად იფუნქციონირებდა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

მე იმ ბრიტანელ ინსტრუქტორს ვესაუბრე, რომელიც პირველად დაკავდა შენობის მშენებლობით. ჩემი ინფორმაციით, იქ უამრავი ხარვეზი იყო არა მხოლოდ შენობასთან დაკავშირებით, არამედ აპარატურასთან დაკავშირებითაც. ალბათ გახსოვთ რა დაემართა ერთხელ თბილისის აეროპორტს. სიტუაცია აქაც მსგავსია. აღარაფერს ვამბობ იმ ადამიანებზე, რომლებიც სიმკაცრის ზომების უგულვებელყოფის გამო ლაბორატორიაში მოიწამლნენ, ეს მაშინ გასაიდუმლოებული იყო. ისინი საიდუმლო წესით გადაიყვანეს არამიანცის საავადმყოფოში და ასევე, საიდუმლოდ დატოვეს მათი იქ მკურნალობის პროცესი. თუმცა, მადლობა ღმერთს, რომ ეს შემთხვევა მსხვერპლის გარე შე დასრულდა.

თქვენ და თქვენი გამოცემა "ვეთერანს თუდეი" ფლობთ ლაბორატორიის შენობის ექსკლუზიურ ნახაზებს. ხომ არ არის ნახაზზე რაიმე ისეთი, რაც საზოგადოებამ არ იცის, მაგალითად საიდუმლო საცავი ან ოთახი სადაც ვირუსებთან დაკავშირებით კვლევებს აკეთებენ?

მე თქვენ უკვე გაჩვენეთ ეს ნახაზები. მათ შესახებ ინფორმირებულია როგორც ქართული, ასევე რუსული მედიაც. ჩემი უსაფრთხოებიდან გამომდინარე მე ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებსაც შევატყობინე. მასალა მართლაც გასაიდუმლოებული იყო, თუმცა დღეს მის შესახებ ბევრმა იცის. სამწუხაროდ იმ წყაროს დასახელება არ შემიძლია, რომელმაც ეს მასალა გადმომცა, მაგრამ დამერწმუნეთ, ლაბორატორიის საკითხში ის ნამდვილად კონფედენციალური პირი იყო.

თქვენ რუსულ მედიას ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ინტერვიუ მიეცით. რატომ ფიქრობს რუსული მხარე, რომ ლუგარის ლაბორატორია მათთვის საფრთხეს შეიცავს?

დიახ. რუსული მედია ძალიან იყო დაინტერესებული ლაბორატორიის საკითხით. მათ მივაწოდე დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების ნორმები არც ქართულ და არც უკრაინულ ლაბორატორიებში დაცული არ არის. არის ბიო იარაღის მზადების საშიშროებაც. რუსეთში ჩემი 21 წლის ვაჟი ცხოვრობს და მისი უსაფრთხოება ჩემთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ლაბორატორიის საცავებში პათოგენების საკმაოდ დიდი ოდენობა ისევ ინახება. შესაბამისად, ბიო იარაღის შექმნა მხოლოდ დროის საკითხია. ლაბორატორიაში შესაძლოა ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერებებზეც მუშაობდნენ, რომლებსაც საბოლოოდ ისინი ადამინებზე ცდიან.

ფიქრობთ რომ ეს შესაძლოა ღორის გრიპთან იყოს დაკავშირებული?

დაბეჯითებით მტკიცება, რა თქმა უნდა, არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

თქვენი აზრით რა დროა საჭირო იმისათვის, რომ შეიქმნას და გავრცელდეს ახალი ვირუსი. ასევე საინტერესოა თუ რა გარემოა საჭირო იმისთვის რომ ვირუსი მასიურად გავრცელდეს?

პოტენციურად ყველაფერი შესაძლებელია. თუმცა, იმისათვის, რომ შხამის საწინააღმდეგო პრეპარატი შეიმუშაოთ, ჯერ თავად შხამია საჭირო. ვფიქრობ, რომ ეს რეგიონი ერთ-ერთი საუკეთესო ადგილმდებარეობაა.

რამდენადაც ცნობილია 2018 წლიდან საქართველო სრულ პასუხისმგებლობას აიღებს ლაბორატორიაზე ვგულისხმობ ფინანსურ პასუხისმგებლობასაც. გვიღირს?

საქართველოს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ ლაბორატორია შეინახოს. იქ არ არიან საკმარისად კვალიფიციური თანამშრომლები. ჩემი ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, ლაბორატორიის შენახვა აშშ-ს წლიურად 12 მილიონი დოლარი უჯდება. საქართველოსთვის კი ეს დიდი თანხაა.

ლაბორატორიის ადგილმდებარეობაზე რას იტყვით? ის აეროპორტთან ძალიან ახლოს არის, ხომ არ წარმოადგენს საფრთხეს იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის?

მსგავსი ტიპის ლაბორატორიისთვის ეს საუკეთესო ადგილმდებარეობაა. მოსახლეობისთვის კი რა გითხრათ, ნამდვილად არსებობს საფუძველი იმისა, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შეკითხვები.

იმ შემთხვევაში თუ ღორის ვირუსი ხელოვნურად ვრცელდება, შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში ეპიდემია კიდევ უფრო გამწვავდეს?

არავინ ვიცით თუ რითი არიან კონკრეტულად ლაბორატორიაში დაკავებულები: გამოჰყავთ ახალი ჯიშები, ატარებენ კვლევებს თუ სხვა. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ლუგარის ლაბორატორიაში კეთდება შესაძლოა Fort Dix-ისა და CDC-ის (ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის) მიერ მუშავდებოდეს.

ჯიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე: "ჩვენ შეგვიძლია... მე შემიძლია..."

ეთერ შარაძე

35 წლის ნანა აბუსელიძე ყოფილი ონკოლოგიური პაციენტია. ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი 2013 წელს, ერთწლიანი წარუმატებელი მკურნალობის შემდეგ ბიოფსიური კვლევის საფუძველზე დაუსვეს. ახალმა რეალობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო - ლოგინად ჩავარდა. მკურნალობაზე უარი თქვა. ახლობლებსა და ოჯახის წევრებთან კონტაქტი შეზღუდა. როგორც დღეს ამბობს, გულზე ხელები დაიკრიფა და სიკვდილს ელოდა. მიზეზი კი ისაა, რომ კიბოსგან განკურნების არ სჯეროდა. თუმცა, მეუღლის დაჟინებული თხოვნით ოპერაცია გაიკეთა. წარმატებული ქირურგიული ჩარევის შემდეგ მკურნალობის მომდევნო საფეხურირადიაქტიური იოდით მკურნალობა აღარ დასჭირდა. მოგვიანებით ეჭვების სრულად გასაფანტად, თურქეთში გამოკვლევები ხელახლა ჩაიტარა. იქ მისი სრული განკურნება კიდევ ერთხელ დადასტურდა. მას შემდგ, რაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად გამოჯანმრთელდა, მეორედ დაიბადა. თუმცა, ნანას მსგავსად ყველას არ უმართლებს.

მსოფლიოში ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნეების მილიონობით ახალი დიაგნოზი ისმება, მილიონობით ადამიანი კი იღუპება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2012 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით კიბოთი ავადობის 14 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 8.2 მილიონი სიკვდილით დასრულდა. ყველაზე გავრცელებული კიბო ფილტვის, ღვიძლის და კუჭის კიბოა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2015 წლის დეკემბერში კრებული "ჯანმრთელობა 2015 წელს: ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან მდგრადი განვითარების მიზნებამდე" გამოაქვეყნა. მასში გასული 15 წლის ტრენდები (გლობალური ჯანმრთელობის ანალიზი) და მომდევნო 15 წლის გამოწვევებია წარმოდგენილი. ცალკე თავი ეთმობა ავთვისებიან სიმსივნეებს. გამოცემული მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით 2000-დან 2012 წლამდე პერიოდში კიბოს სხვადასხვა სახეობით სიკვდილიანობის მაჩვენებლის მოკრძალებული 6 პროცენტით შემცირება დაფიქსირდა. გაუმჯობესების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კუჭის კიბოს შემთხვევაში ფიქსირდება, სადაც სიკვდილიანობა 20 პროცენტით შემცირდა. მეორე ადგილზე კი, საშვილოსნოს ყელის კიბოა, 10 პროცენტზე ოდნავ მაღალი მაჩვენებლით. სიკვდილიანობის შემცირების მაჩვენებლები, ძირითადად, მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში ფიქსირდება, რაც ადრეულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესებას უავშირდება.

4 თებერვალი კიბოს საერთაშორისო დღეა. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრომ და დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა ერთობლივი კონფერენცია სახელწოდებით - "ჩვენ შეგვიძლია... მე შემიძლია..." გამართეს. წარმოდგენილი იქნა კიბოს პოპულაციური რეგისტრის 2015 წლის პირველადი მონაცემების ანალიზი და კიბოს კონტროლის სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ჩატარებული კიბოს კონტროლისა და საჭიროებების შეფასების მიმოხილვითი მისიის ანგარიში.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საერთო ჯამში ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზით რეგისტრირებული შემთხვევების კლების დინამიკა ფიქსირდება. შესაბამისად, იკლებს გარდაცვალების დინამიკაც. მაგალითად, თუ 2005 წელს დარეგისტრირებული იყო 28 722 შემთხვევა, 2014-ში ეს ციფრი 20 261-ს შეადგენს, ახალი მეთოდით გამოთვილილი 2015 წლის რაოდენობა კი 16 417-ია. საყურადღებოა ისიც, რომ დიაგნოზის დადგენიდან პირველივე წელს გარდაცვალების მხრივ მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება, რაც გვაფიქრებინებს, რომ დიაგნოზის დასმა ადრეულ ეტაპებზე უფრო გახშირდა. დაავადების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენისა და მკურნალობის დროული ჩატარების შემთხვევაში კი, განკურნების შანსები ბევრად მაღალია.

2005-2014 წლების ჩათვლით ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ ინფორმაცია გროვდებოდა აგრეგირებული ფორმით, 2015 წლიდან კი ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რომელიც მონაცმეთა შეგროვების განსხვავებულ მექანიზმებს მოიცავს. შესაბამისად, რეგისტრის მონაცემები განსხვავდება აგრეგირებული ფორმით მიღებული მონაცემებისგან. პოპულაციური რეგისტრი შედარებით ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა.

კიბოს პოპულაციური რეგისტრის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე გარცელებული სიმსივნეებია (ორივე სქესის შემთხვევაში): სარძევე ჯირკვლის, ბრონქებისა და ფილტვის, კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები. შემდეგ მოდის ფარისებრი ჯირკვლის, შარდის ბუშტის, კუჭის, წინამდებარე ჯირკვლის, კოლინჯის, საშვილოსნოს ყელის და საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნეები.

როგორ ზრუნავს სახელმწიფო პაციენტზე? მოქმედებს სკრინინგ ცენტრი, რომელიც ადრეულ დიაგნოსტიკას უწყობს ხელს, დიაგნოზის დასმის შემთხვევაში კი, საყოველთაო პროგრამის ფარგლებში მკურნალობის ხარჯების ნაწილის დაფარვა სახელმწიფოს მხრიდან ხდება. სკრინინგის პროგრამა 2008 წლიდან ამოქმედდა, დღეისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი, ასევე პროსტატის კიბოს მართვა ხორციელდება, გარკვეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. პროგრამა უფასოა. პროგრამის მოქმედების შედეგად, ადრეულ ეტაპზე გამოვლენილი დაავადებათა რიცხვი სამჯერ გაიზარდა, თუმცა ეს არ ნიშნავს პირდაპირ კიბოს შემთხვევების ზრდას, ეს აჩვენებს, რომ სამკურნალოს დაწესებულებებს კვლევებისათვის უფრო მეტი ადამიანი მიმართავს. რაც შეეხება შემდგომ მკურნალობას, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში სრულწლოვანი პაციენტის ოპერაციული მკურნალობა 70 პროცენტით ფინანსება, მომდევნო თერაპიული (ქიმიო, სხივური, ჰორმონო) მკურნალობა კი 80 პროცენტით, წლიური ლიმიტის ფარგლებში. ამ წლის 4 თებერვალს გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო მიმდინარე წლიდან ძუძუს კიბოს ადრეული HER2 რეცეპტორდადებითი აგრესიული ფორმის მქონე პაციენტებს (ძუძუს კიბოს რაოდენობის 20-25%) პრეპარატ ,,ჰერცეპტინით" მკურნალობის ხარჯებს 80 პროცენტით დაუფინანსებს (რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში).

სკრინინგ ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ეს ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი მიდის კვლევაზე და თავს იზღვევს მოსალოდნელი გართულებებისგან. მიუხედავად ამისა, მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებლები მაინც დაბალია. არადა, კიბოთი დაავადებული პაციენტების გარდაცვალის ძირითად მიზეზს დიაგნოზის გვიან დასმა (მესამე, მეოთხე სტადიაზე) და მკურნალობის დაგვიანებით დაწყება წარმოადგენს.

ნანა აბუსელიძის მაგალითი გვაფიქრებინებს რამდენად აუცილებელია კიბოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რათა არ მოხდეს ის, რაც მის შემთხვევაში მოხდა - პაციენტის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, ოჯახის წევრებისა და ექიმების მიერ მკურნალობის აუცილებლობაში პაციენტის დასარწმუნებლად დროის დაკარგვა. ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ ფატქის წინაშე დადგომის შემდეგ მკურნალობის აუცილებელი და დროული დაწყების გამოა საჭირო, არამედ იმისათვის, რომ პრევენციული ზომებითა და კონტროლით დიაგნოზის ადრეული დადგენა ან აცილებაც კი იქნას შესაძლებელი.

კიბოს გამომწვევი ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია. თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, კიბოთი სიკვდილიანობის დაახლოებით მესამედი გამოწვეულია ხუთი ფაქტორით: სხეულის მასის მაღალი ინდექსით, ხილ-ბოსტნეულის ნაკლები მოხმარებით, ფიზიკური აქტიურობის ნაკლებობით, თამბაქოს მოხმარებით და ალკოჰოლის მოხმარებით. ქრონიკული ინფექციები მსოფლიო მასშტაბით კიბოს 16 პროცენტთან ასოცირდება. ჯანმო-ს გამოცემული ანგარიშის მიხედვით, მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება კიბოს ინციდენტობის ზრდის პარალელურად, ჯანდაცვის მაღალ სტანდარტებთან არის დაკავშირებული. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადრეულ აღმოჩენას, დიაგნოსტირებას და მკურნალობას. ასევე, კარგად მუშაობს პრევენციული ზომებიც. მაგრამ ეს მხარდაჭერილი უნდა იყოს კანონმდებლობის დონეზე. მაგალითად, ჯანმოს-ს მიერ დაფინანსებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება გადამწყვეტია საკანონმდებლო აქტებით თამბაქოს მოხმარების შემცირებაში. ამ აქტებს შორისაა თამბაქოზე გადასახადის გაზრდა, რაც მოხმარების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხია.

მსგავსი მიდგომები უნდა დაინერგოს ალკოჰოლის მოხმარების მიმართაც, ასევე პროფესიულ საქმიანობასთან თუ გარემოსთან დაკავშირებული კარცინოგენებით გამოწვეული რისკების შემცირებასთან.

დიაგნოსტირების და მკურნალობის ახალი გზების პარალელურად, დაავადებების რიცხვის ზრდა არის მოსალოდნელი. ეს კი ძირითადად საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მოხდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მიზნები მოიცავს უფრო ჯანსაღი გარემოს შექმნას ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნაკლები დაბინძურებით. ჯანმო და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო ევროკავშირის სააგენტოებთან თანამშრომლობენ კიბოს პრევენციისა და კონტროლის პოლიტიკური ვალდებულების გასაზრდელად. ძალები მიმართულია, ასევე, ადამიანის კიბოს მიზეზებისა და კარცინოგენეზის მექანიზმის დასადგენ კვლევებზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგიულ პრიორიტეტებში შედის კიბოს პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიების განვითარება, ახალი ცოდნის დაგროვება და არსებულის გავრცელება. ასევე, სტანდარტებისა და ინსტრუმენტების განვითარება ადრეული აღმოჩენის და მკურნალობისათვის; განვითარებადი ქვეყნებისათვის საუკეთესო პრაქტიკის სწრაფი და ეფექტური გადაცემა. "და ბოლოს, სახელმწიფოებმა თვითონ უნდა გაზარდონ ძალისხმევა, რომ გააძლიერონ ჯანდაცვის სისტემები სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, ადრეული დიაგნოსტიკისა და კიბოს პაციენტების მკურნალობის ხელმისაწვდომობისათვის", - აღნიშნულია ჯანმო-ს კრებულში.

ფრინველის ბუმბულით შექმნილი უნიკალური ნახატები

ნინო მაჭავარიანი EXCLUSIVE

თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის ისტორიულ სახლში ცხოვრობს ქალბატონი, რომლის შემოქმედებაზეც ამბობენ, რომ მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ლია ბარნაბიშვილი, რომელსაც მალე 80 წელი შეუსრულდება, თავის ტილოებს მხოლოდ ფრინველის ბუმბულითა და წებოთი ქმნის. ნახატების შესაქმნელად იგი სხვადასხვა ფრინველის ბუმბულს იყენებს.

საქმისადმი სიყვარული ერთადერთი მოტივია, რის გამოც შემოქმედი მუშაობას არ წყვეტს. მას მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს, კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის გამო საქმე სასამართლოსაც კი გადასცეს, თუმცა საკუთარ ნამუშევრებზე ფიქრის მეშვეობით ამ რთულ სიტუაციასაც უმკლავდება და გაჭირვებასაც ივიწყებს.

თითოეულ ნამუშევრს ინდივიდუალურად უდგება. როგორც თავად ამბობს, შეიძლება ერთი ნახატის შექმნას ერთი კვირაც მოანდომოს ან სულაც ერთ ამოსუნთქვაზე გამოუვიდეს. შემოქმედება ზოგჯერ მისი მკურნალიცაა, როცა თავს შეუძლოდ გრძნობს და ნამუშევრებს ათვალიერებს, პრობლემები მაშინვე ავიწყდება.

მხატვარს უკვე ბევრი გამოფენა ჰქონდა. ამ უნიკალური ხელოვნების შესწავლა ბევრის სურვილია, ხშირად ნამუშევრების დასათვალიერებლად ბავშვებიც მიჰყავთ. ხელოვანს კი მიაჩნია, რომ ადამიანს ფერთა გამის აღქმა შიგნიდან უნდა მოსდევდეს, სხვა შემთხვევაში მისი შემოქმედების ახსნა და გაგება რთული იქნება.

დაახლოებით 20 წელია, რაც ლია ბარნაბიშვილი ბუმბულზე მუშაობს. ამ წლების განმავლობაში 1000-მდე ნამუშევარი შექმნა, რომელთა უმრავლესობა საზღვარგარეთაა გატანილი.

„ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოფენიდან ნამუშევარი გამქრალა, რასაც ჩემთვის სულიერი ზიანი მოაქვს“, - აცხადებს მხატვარი.

ხატვა ბავშვობიდან უყვარდა, თუმცა მასწავლებელთან არასდროს უვლია. მერვე კლასიდან სკოლაში სწავლა შეწყვიტა და ნიკოლაძის სახელობის აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც მხატვრობა შეუყვარდა და თავისი დარჩენილი ცხოვრება ამ სფეროს დაუკავშირა. აკადემიის დამთავრებისას პროფესორთაგან უკვე ბევრი აღნიშნავდა, რომ გოგონას შეუდარებელი ნიჭი აქვს და ჩამოყალიბებული მხატვარია. შემდგომ სწავლა კლასიკური აკვარელის განხრით გააგრძელა და საქმიდან გამომდინარე ქალბატონი ლია საკუთარ თავზე დღესაც ბევრს მუშაობს.

ბუმბულებით ნახატების შექმნის ისტორია სრულიად შემთხვევით დაიწყო.

„ერთხელ, ჩემი შვილი მეგობრებთან ერთად ჯანდარის ტბაზე წავიდა. იქიდან ბიჭებმა იხვები ჩამოიყვანეს. მე გავაცალე ბუმბული და ლარნაკში ჩავაწყვე. საკმაოდ ლამაზი იყო. იმ ღამეს რაღაც მოხდა, თითქოს ამ ბუმბულებმა ჰიპნოზი გამიკეთეს. ავიღე, ფეხზე დავაყენე და ხეები გავაკეთე, დაბლა ყავისფერი ტონი დავადე და ზევით ცისფერი ღრუბლებიც მივუხატე. მეორე დღეს ჩემმა ნამუშევარმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, ის ძალიან ეფექტური იყო. ჩარჩოში ჩავსვი და მას მერე აღარ გავჩერებულვარ. ბუმბულმა დამიპყრო“, - ასეთი კომენტარი გააკეთა მხატვარმა „ობზერვერთან“ საუბრისას.

ხელოვანი საკუთარ სახელოსნოზე ოცნებობს, სადაც ბუმბულებით დაფარული მხოლოდ ერთი მაგიდა, საწოლი და სკამი იქნება. მიაჩნია, რომ სწორედ იქ შექმნის რაღაც განსაკუთრებულს.

"მანდარინების" მორიგი წარმატება და მიშა მესხის სამსახიობო კარიერის პიკი

ნანა ბოჩიბილაძე EXCLUSIVE

ზაზა ურუშაძის ფილმის ,,მანდარინების" მორიგმა წარმატებამ ქართული კინოს მოყვარულები კიდევ ერთხელ გაახარა. გასულ წელს ოსკარზე ნომინირებულმა ქართულ-ესტონურმა ფილმმა 2016 წლის 31 იანვარს გაუდის VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე ,,საუკეთესო ევროპული ფილმის" ნომინაციაში გრან-პრი აიღო! *Gaudi Awards* - ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც კატალონიის კინოაკადემიამ დაარსა და 2009 წლიდან გაიცემა.

„მანდარინების“ მთავარი როლის შემსრულებელი მიშა მესხი ფილმს ამბობს: ,,არ აქვს მნიშვნელობა რომელ ქვეყანაში დაიბადე და საიდან ხარ, პირველ რიგში ადამიანობა უნდა შეინარჩუნო". ,,ობზერვერთან" საუბრისას მიშა მესხი აღნიშნავს, რომ ზოგადად მონაწილე მსახიობებისათვის და მისთვის ფილმის ასეთი წარმატება, განსაკუთრებით კი ოსკარის ნომინაციაზე წარდგენა, სამსახიობო კარიერის პიკია. „ამაზე დიდი დაფასება და ჯილდო მსახიობისთვის არ არსებობს“,- აღნიშნავს მესხი.

ფილმისათვის ეს პირველი წარმატება არ ყოფილა. ქართულ-ესტონური ნამუშევარი ოცდაათამდე ჯილდოს მფლობელია. ოსკარის გარდა ის წარდგენილი იყო ოქროს გლობუსზე, ვარშავის საერთაშორისო კინოკონკურსზე, ირანის, იტალიისა და მანჰაიმ-ჰაიდელბერგის საერთაშორისო კინოფესტივალებზე. „მანდარინების“ სხვადასხვა ნომინაციებზე წარდგენა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ფილმი ყოველმხრივ მაღალი დონისაა. ფილმი „ოსკარის“ დაჯილდოებამდე საერთაშორისო პრესის აკადემიის ჯილდოს ,,იპას" გამარჯვებულიც გახდა და არაერთ ფესტივალზე მიიღო საუკეთესო რეჟისურის, აუდიტორიის, საუკეთესო სცენარის ჯილდოები. ფილმს პრემიერა ყველა ქვეყანაში სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „მანდარინების“ ჩვენება გაიმართა ევროპარლამენტსა და გაერო-ში. ფილმის რეჟისორი ზაზა ურუშაძე „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ „მანდარინებმა“ მშვიდობის მიმართულებით პოლიტიკოსებზე მეტის გაკეთება შეძლო. „ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მნიშვნელოვანია ის ჰუმანური მესიჯი, რომელიც ფილმში დევს, რითაც მანდარინებმა ევროპარლამენტისა და გაერო-ს ყურადღება მიიპყრო“,- ამბობს ზაზა ურუშაძე.

,,საუკეთესო ფილმი, რაც მე ამ წელს ვნახე იყო ესტონურ-ქართული კოპროდუქცია", - აცხადებს ცნობილი უნგრელი კინორეჟისორი იშტვან საბო. ქართველი მსახიობი კახი კავსაძე კი ამბობს: ,, მანდარინებს უმაღლეს შეფასებას დავუწერდი. ამ ფილმა ბეჭედი დასვა, ქართული კინო უკვდავია.“

მიშა მესხის თქმით, იმისათვის, რომ ქართული კინო კიდევ იდგეს მედგრად საერთაშორისო კინოფესტივალებზე, საჭიროა დაფინანსება. „დღესდღეობით საქართველოში ბევრი კარგი მსახიობია არ შემიძლია არ აღვნიშნო ახალგაზრდა მსახიობები. ჩვენ გვაქვს ყველანაირი პოტენციალი, რომ ქართული ფილმი იყოს წარმატებული და ამისათვის საჭიროა ფინანსები და კიდევ ერთხელ ფინანსები. ფილმის ოსკარზე წარდგენა კი ქართული კინომატოგრაფიისათვის კიდევ უფრო დიდი სტიმულია“, - აცხადებს მსახიობი.

როგორც მიშა მესხი აღნიშნავს, 2016 წელს ახალ ფილმზე მუშაობას აპირებს. თუმცა, ახალ ფილმზე საუბარს ერიდება და მას სამომავლო სიურპრიზად იტოვებს.

ლიტველმა სტუდენტებმა "ჩვეულებრივი გმირების" გამოფენა მოაწყვეს

ნინი მაჭავარიანი EXCLUSIVE

„ჩვეულებრივი გმირების“ გამოფენა, რომელიც საერთაშორისო დოკუმენტური ფოტოპროექტია, გალერეა „კონტეინერში“ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მომავალ კვირას პროექტი ლიტვაში გადაინაცვლებს. ორი ლიტველი ფოტოგრაფის: ლოლიტა კირიჩენსკასა და დევილე ბერლინსკაიტეს გამოფენა გამორჩეული ადამიანების ისტორიას ჰყვება. ფოტოპროექტის გმირები პოსტსაბჭოთა სივრცის ოთხი ქალაქის უბრალო რიგითი მოქალაქეები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან.

როგორც „ობზერვერთან“ ინტერვიუში ლიტველმა ფოტოგრაფმა დოვილიე ბერლინსკაიტემ აღნიშნა, მათი პერსონაჟები: მკერავი ქალბატონი და კომბაინის მძღოლი - ბელორუსიიდან, მასწავალებელი - პანკისიდან, მწყემსი - ყაზბეგიდან, დაცვის თანამშრომელი - ლიტვიდან, სუპერმარკეტში მომუშავე ქართველი კი ვილნიუსიდან არიან.

ფოტოგრაფი დევილე საქართველოში სასწავლებლად გაცვლითი პროგრამით ჩამოვიდა. ლიტვის უნივერსიტეტში კრეატიული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც ათი თვე დაჰყო.

ფოტოპროექტის იდეა დევილესა და მის მეგობარ ლოლიტა კირიჩენსკიას დიდი ხნის წინ დაებადათ.

„ჩვენ გვინდოდა იმის ჩვენება თუ რამდენად უნიკალურია თითეული ადამიანი. გვინდოდა ნათლად დაენახა ყველას, რომ სოციალური სტატუსისა და ეროვნების მიუხედავად, რამდენად ჰგავს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ყოველდღიურობა და ცხოვრება ერთმანეთს. განსხვავებული პროფესისა თუ საქმის მიუხედავად, ჩვენ ყველას რაღაც მსგავსი გვაერთიანებს. მძღოლი, მწყემსი, მასწავლებელი,- ამ პროფესიების მიღმა საინტერესო პიროვნებები დგანან, რომელთაც ასევე საინტერესო ისტორიები აქვთ. ჩვენ ყველამ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ ამ ფოტოების დათვალიერების შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ ძალიან ბევრი საერთო შემოგვრჩა“, - აღნიშნა ფოტოგრაფმა.

პერსონაჟები შემთხვევით არ შეურჩევიათ, კრიტერიუმებიც წინასწარ დაგეგმეს და შემუშავებული გეგმის მიხედვით გადაწყვიტეს „ჩვეულებრივი გმირები“ მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ. როგორც ფოტოგრაფი იხსნებეს, შესარჩევი ფოტოსესიის დროს პრობლემა არც ერთ პერსონაჟთან არ შექმნიათ. მონაწილეებს უხაროდათ, რომ მათი უბრალო ცხოვრებით ორი ახალგაზრდა სტუდენტი დაინტერესდა.

გამოფენის გახსნას გალერეა „კონტეინერის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და ცნობილი ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი დაესწრო, რომელიც დოვილეს ფოტოგრაფიის ლექტორი და კოლეგაა. სწორედ ის დაეხმარა ახალგაზრდა ფოტოგრაფებს საგამოფენო სივრცის მოწყობაში.

„ფოტოები გადაღებულია საქართველოში, ლიტვაში, ბელორუსიასა და რუსეთში. არჩეული პერსონაჟების ფოტოები მათ ჩვეულ ყოფასა და სიტუაციას ასახავენ. სურათებში ნაჩვენებია ამ ადამიანების მიერ შესრულებული საქმის მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია არა მარტო მათთვის, არამედ მსოფლიოს საზოგადოებისთვისაც, რადგან ისინი თავიანთი პატარა საქმით სამყაროსთვის დიდ საქმეებს აკეთებენ“, - აღნიშნა გურამ წიბახაშვილმა „ობზერვერთან“ საუბარში.

როგორც თავად ფოტოგრაფი დოლივიე ამბობს, თითოეულ პერსონაჟთან გასაუბრება და დაახლოებაც მოახერხეს, რომლებიც თავიანთი უბრალო საქმიანობით ამაყობენ. პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ, სოფლის მეურნეობის ტექნიკის მძღოლმა ისიც კი აღნიშნა, რომ ქალაქის ხმაური არ უყვარს და თავისი საქმიანობით ბედნიერია. როგორც ფოტოგრაფმა თქვა, „ამ ადამიანების მიღმა ბევრი საინტერესო აღმოჩენა და ისტორიაა“.

მასწავლებელის პერსონაჟი 25 წლის გამოცდილების მქონე პანკისელი ქალბატონია, რომელსაც თავისი საქმიანობა და ახალგაზრდებთან ურთიერთობა ძალიან მოსწონს.

საინტერესოა ლიტვაში მცხოვრები ქართველის ისტორიაც. ის წლებია ლიტვაში ცხოვრობს და სუპერმარკეტში კალათების შემგროვებლად მუშაობს, თავისი სამსახურით კმაყოფილია და არც ცხოვრებაზე წუწუნებს.

„70 წელი ერთნაირ გარემოებაში გვიწევდა ცხოვრება, სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ძალზედ რთულია, თუმცა, შეუძლებელი არ არის. აქედან გამომდინარე, მგონია რომ ეს ქვეყნები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ლიტვაში ყოფნის პერიოდში ეს მსავსება მეც მიგრძვნია. მიუხედავად იმისა, რომ ლიტვა უკვე ევროპაა, ჩვენთვის ნაცნობი მდგომარეობა იქ ჯერ კიდევ არ გამქრალა“, - განაცხადა წიბახაშვილმა.

დევილე ბერლინსკაიტე აღნიშნავს, რომ საქართველოში ცხოვრება ძალიან მოსწონს და ქართველების სტუმართმოყვარეობითაც მოხიბლულია. „აქ დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი და ბევრი საინტერესო ადგილი მოვინახულე. როგორც კი საშუალება მომეცემა, ისევ დიდი სიამოვნებით გესტუმრებით“, - ამბობს ფოტოხელოვანი.

ფოტოგრაფები სამომავლოდ კვლავ გეგმავენ ქართულ-ლიტვური პროექტების განხორციელებას. მანამდე კი 10 თებერვალს „ჩვეულებრივი გმირების“ ისტორიას ლიტვის მოქალაქეებიც ნახავენ.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35 +1	735	03:30	airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55	735	03:55	

"ერთა თასის" ჩემპიონატი ქართველმა მორაგბეებმა გამარჯვებით დაიწყეს

ვაკო ყიფიანი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენმა ნაკრებმა ავჭალის სარაგბო სტადიონზე გერმანიას უმასპინძლა და მეტოქე 59:7 გაანადგურა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე აკლდა. ანგარიში მე-6 წუთზე გერმანელებმა გახსნეს, სტუმრებმა გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს და მოულოდნელად დაწინაურდნენ. თამაშის ასეთი სცენარით განვითარებას არავინ ელოდა, მაგრამ ,,ბორჯღალოსნებმა'' მალევე შეძლეს ანაგარიშის გათანაბრება. გერმანელთა ჩათვლის მოედანში პირველად ბურთი ლევან გორგაძემ დადო. ლაშა მალაღურაძემ ზუსტად შეასრულა გარდასახვა და ანაგარიში გაათანაბრდა. ამის მერე გერმანელებს ღირებული არაფერი გაუკეთებიათ, ქართველმა მორაგბეებმა სტუმრების ჩათვლის მოედანი „დაბომბეს". 26-ე წუთზე ,,ბორჯღალოსნები'' მიხეილ ნარიაშვილის ლელოთი წინ გავიდნენ. ხუთ წუთში გიორგი ნემსაძემ და-დო ლელო, ხოლო ტაიმის მიწურულს ბორჯღალოსნების მეოთხე და ბონუს-ქულის მომტანი ლელო ანტონ ფეიქრიშვილმა გაიტანა და ჩვენმა ნაკრებმა პირველი ტაიმი 26:7 მოიგო.

მეორე ტაიმში მილტონ ჰეიგმა ახალგაზრდა მორაგბეეს თავის გამოჩენის საშუალება მისცა. 50-ე წუთზე გიორგი თხილაიშვილმა გამოიჩინა თავი, ხოლო 57-ე და 65-ე წუთებზე ცვლილებაზე შემოსულმა ლაშა ლომიძემ დუბლი შეასრულა. 68-ე წუთზე ზურაბ ჟვანიამ ცენტრიდან წამოიღო ბურთი და ბრწყინვალე გათამაშების შემდეგ მეტოქის ჩათვლის მოედანთან ლაშა ხმალაძეს გადააწოდა, რომელსაც ლელოს დადება აღარ გასჭირვებია. მატჩის მიწურულს კიდევ ერთხელ გაილაღეს ,,ბორჯღალოსნებმა'' და გერმანელთა ჩათვლის მოედანში ლელო ნაკრების კაპიტანმა შალვა სუთიაშვილმა დადო.

საბოლოო ანგარიში ტაბლოზე 59:7 დაფიქსირდა. ,,ბორჯღალოსნებს'' ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოგებული აქვთ და პირველ ადგილზე 25 ქულით იმყოფებიან.

თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მატჩი ორივე გუნდის მწვრთნელის მიერ შეჯამდა. გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა: „ქართველებმა გუნდურად ითამაშეს, ქართველთა ათიანმა ლაშა ხმალაძემ კარგი მატჩი ჩაატარა. ჩვენი ნაკრები უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას ეცდება".

„ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს და ქართული რაგბის მომავალი საიმედო ხელშია! აღსანიშნავია, გუნდის ლიდერების კარგი თამაშიც", - განაცხადა მილტონ ჰეიგმა.

თამაშის შესახებ ,,ბორჯღალოსანთა'' კაპიტანმა შალვა სუთიაშვილმაც გააკეთა კომენტარი: "ზელანდიის შემდეგ ამ თამაშზე ყურადღების გადმოტანა ცოტა რთული იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა და გავიმარჯვეთ. პორტუგალიასთან უკეთესად ვითამაშებთ".

მომდევნო შეხვედრას ჩვე-ნი ნაკრები პორტუგალიის წინააღმდეგ 13 თებერვალს ლისაბონში გამართავს.

სპორტული სიახლეები

ფეხბურთი

4 თებერვალს თბილისის "დინამომ" თურქულ შეკრებაზე მეორე მატჩი გამართა და ბელორუსის ჩემპიონი ბორის ოვოსბატე 2:0 დაამარცხა. ანგარიში ლაშა პარუნაშვილმა გახსნა, ხოლო მეორე გოლი ზაზა ჭელიძის ჩაწოდების შემდეგ გავიდა, ბურთი ბატეს მცველებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს. ,,დინამომ'' ორი ამხანაგური შეხვედრიდან ორივე მოიგო, მანამდე თბილისელებმა ხორვატიულ ,,სპლიტს'' 1:0 სძლიეს.

* * * * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი თბილისში მდებარე "შატილის" სტადიონს ესტუმრა. აღნიშნულ სტადიონზე უკვე რამდენიმე კვირაა ის გუნდები ვარჯიშობენ, რომლებიც "ოლიმპის" აკადემიის სტადიონის დემონტაჟის შემდეგ მოედნის გარეშე დარჩნენ. გუნდებისთვის საწვრთნელი პროცესის შეუფერხებლად ჩატარებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ზრუნავს.

ფეხბურთი

მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა და 2016-2020 წლებში პროგრამა 265 700 000 ლარით დაფინანსდება.

ჭიდაობა

საქართველოს ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები სტამბოლში დიდი წარმატებით გამოვიდა, ვები ემრესა და ჰამიდ ყაფლანის მემორიალში, სადაც 2 ოქრო, 5 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორე ადგილზე გავიდნენ. საინტერესოა, რომ ჩვენც და თურქებმაც 70-70 ქულა დავაგროვეთ, მაგრამ მასპინძლებს 3 ოქრო ჰქონდათ და გუნდური პირველობაც ამით შეინარჩუნეს.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.
0179, Tbilisi, Georgia
E: info@observer.com.ge
T: +995 557 68 36 53

ISTI FOTINTI

სავაჭრო & გასართობი ქალაქი

გართობის • დასვენების
შოპინგის
ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi

16 333

www.eastpoint.ge